საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
შაბათი, 1[?] ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქციის და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 34.
ტელეფონი 16—62.

№ 257 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 257

დამწუხრებული შვილის შვილები: გრიგოლ, პავლე და ლავრენტი მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავის საყვარელი დედიდას

ელისაბედ ავალიშვილის ასული მაჭავარიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 13 ნოემბერს, (ახ. სტ.) სოფ. საქარისქედში. (2956—1—1)

მუდმივ მწუხარებასა შინა მყოფი კატო ნარაკიძის ასული სოსელიასი აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი ქმრის, რკ. გზ. მოსამსახურის

დიმიტრი გიტუს ძე სოსელიასი

დასაფლავება 11 ნოემბერს, დღითი სამშაბათს ნაშუადღევის 3 ს. ახალსენაკის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (6. 1—1)

სენაკის სამაზრო კომიტეტი ს. ს. დ. მ. პ. აუწყებს ამხანაგთ, რომ 7 ნოემბერს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მოხუცი ამხ.

დიმიტრი გიტუს ძე სოსელია

დასაფლავება 11 ნოემბერს ახალსენაკის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (6 1—1)

ლანჩხუთის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს ტრაგიკულად გარდაცვალებას ბოლშევიკურ ბრბოთა თავდასხმის დროს გვარდიელის

კოლა დიანოსის ძე რუსიას

დასაფლავება დღეს, 11 ნოემბერს, დღის 12 ს. ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (ფ. 1—1)

ლანჩხუთის ს. დ. კოლექტივი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ტრაგიკულად გარდაცვალებას ბოლშევიკურ ბრბოთა თავდასხმის დროს გვარდიელის

კოლა დიანოსის ძე რუსიას

რომლის დასაფლავება მოხდება დღეს, 11 ნოემბერს, დღის 12 ს. ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (ფ. 1—1)

ქართველ მხატვართა საზოგადოების შემოდგომის გამოფენა

1) ქართველ მხატვართა საზოგადოება მართავს მხატვართა

საერთო გამოფენას

2) გამოფენაზე მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.
3) გამოფენაზე მონაწილეობის მოსურნე მხატვარი ვალდებულია ჩაიწეროს განსაკუთრებულ სიაში საზოგადოების სადგომში (რუსთაველის პრ. № 13) ნოემბრის 4—10 მდე, 5 საათიდან 7 საათამდე.
ა) კომისიის მიზანი არის შეძლება მისცეს მხატვართ გამოფენაზე შეჯგუფებისა მიმართულების მიხედვით.
4) გამოფენისთვის სურათების მიღება ხდება ნოემბრის 10—15-მდე, დღის 12 საათ.—2 საათამდის.
5) ვერნისაჟის დღე გამოცხადებული იქნება საგანგებოთ.
ა) განსაკუთრებული მოწვევის ბარათები მხატვრებს არ დაეგზავნებათ.
გამოფენის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე შ. ქიქოძე.
მდივანი დ. შევარდნაძე. (6. 3—3)

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა საჭიროებს

გამოცდილ ბუღალტერს

კავშირის მთავარ ბუღალტერის თანამდებობისათვის.
მსურველთ ვთხოვთ მოგვაწოდონ ცნობები თავის შესახებ წერილობით ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა კავშირის მთავარ კანტორაში (ტფილისი, გლდანის შესახვევი, სახლი № 15).
აუცილებელია ქართული ენის ცოდნა (2—1)

საქართ. ცენტ. კოოპერატ. კავშ. ქართული დრამატ. სტუდია.

არტისტიული საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 12 ს 1919 წ. საღამოს 8 საათზე

ჰ. ჰაუპტმანი — ჰ ა ნ ე ლ ე, სანახაობა 2 მოქმ.
ე. როსტანი — რომანტიკოსნი, კომედია 1 მოქმ.

შემდეგ: სარწმუნოება, თეთრი ვახშამი, ავგაროზი.
რეჟისორი მ. ქორელი. რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.
შედგენილობა: ქალნი: ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., ეპიტაშვილი ს., ოლდე ნ., ქიქოძე ან., ციმაკურიძე ელ., ლოლობერიძე თ., წერეთელი ნ., ჭავჭავაძე ს., ჩიკვანიძე ნ. ვაჟნი: აბაშიძე ვანო, ანთაძე ი., ბოჭორიშვილი მ., ელოვანი მ., გულიაშვილი მ., ერისთავი გ., ცინაძე წ., თაზიშვილი გ., სარიმეღიძე გ., ქორელი მ., შათირიშვილი ქ., ლამბაშიძე შ., ძნელაძე დ., ყიფიანი გ., ჭიაურელი მ., ჯაბადარი გ., ვასაძე ა., რეჟისორნი: ქორელი მ., შათირიშვილი ქ., ჯაბადარი გ. სამხატვრო საბჭო: ამირეჯიბი შ., ერისთავი ნ., მარაშიძე შ., ცაგარელი ვ., გოგებაშვილი შ., ქავთარაძე პ., შევარდნაძე დ. რეჟისორის თანაშემწე: ერისთავი გ. სცენარიუსი: ანთაძე ი. სუფლიორნი: ბოჭორიშვილი მ., გულაშვილი მ. დეკორატორნი: ბაგატირიოვი პ., ნადეოვი გ. უფროსი მკერვალი: სიზრანოვი ა. შიკრიკი: სიდამონიძე ი.
(2—1) სტუდიის დირექტორი: გ. ჯაბადარი.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, 1 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობა

ქალაქის ქუჩების სახელების წარწერების დასამზადებლად. მუშაობა ნავარაუდევია 500,000 მანეთი. (29 2—2—1)

## კმარა!

ცნობა მოვიდა, რომ გაყაჩაღებულმა კომუნისტებმა და გაკომუნისტებულმა ყაჩაღებმა კიდევ სცადეს ბოლშევიკური რევოლიუციის წლის თავზე მოსკოვის ტირანების დავალების ასრულება. ყაჩაღებს ხალხმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და მათ ძირ ბუდის ამოთხრას შეუდგა. ავაზაკებმა იგრძნეს, რომ მათი აღსასრულის დღე დადგა და განწირულებმა მოგერებიდან შეტევაზე გადავიდენ, კომუნისტთა დროშის ქვეშ მობილიზაცია მიახდინეს და ასე რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში თავს დაესხენ დემოკრატიას. გამოსვლებს ადგილი ქონია აგრეთვე გურიაში; დასხმიან ლანჩხუთსა და ჩოხატაურს. ყველა მათი გამოსვლები დამარცხებით გათავებულა. რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა და პირველ ყოვლისა თვით შეგნებულმა ხალხმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ავაზაკთა ბრბოებს და უმეტესობა მათგანი გაჟლიტა. ამგვარათ ყაჩაღთა ბრძოლის კვირა ხალხის დიდი გამარჯვებით დამთავრდა.

ხალხი თავის მოქალაქობრივ მოვალეობას წმინდათ ასრულებს და შეასრულა კიდეც ჯერი მთავრობაზეა. მთავრობის ყურადღება დღემდე დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და ეკონომიურ მოღონიერებაზე იყო უფრო მეტად შეჩერებული. სასტიკი სასამართლო ჯერ არ ამუშავებულა ჯეროვანათ. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ამ მხრით საქმე ვერ აა მოწყობილი. საქმეები ჭიანურდება, რაც დღევანდელ პირობებში დაუშვებელია. ჯერ ისედაც ბევრი გასაჭირი და მოსათმენი აქვს ჩვენს დემოკრატიას და ის შეგნებულათ ითმენს ყველაფერს, რასაც კი ქვეყნისა და ხალხის ბედნიერება მოითხოვს. და არ ვიცით, რაღა საჭიროა, რომ მის მოთმინების ფიალას კიდევ ახალი წვეთები ემატებოდეს და გაუჭირვებელი გაიჭიროს. უკვე ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ხალხმა კომუნისტთა და ავაზაკთა პირველი კონტრრევოლიუციური გამოსვლა ჩააქრო და მრავალი მოღალატე მთავრობას ჩააბარა. კიდევ უფრო ადრე გურულებმა გემ „მარიამის" გამძარცველთა მთელი ბრბო დაატყვევა. იმ დღიდან ამ დღემდე ხალხი სულგანაბული უცდის სასტიკ სამართალს, მაგრამ დიდხანს კიდევ ცდა ძნელია. მისი მოთმინების სიმები ძალზე დაჭიმულია. სწრაფმა სამსჯავრომ უნდა დააკმაყოფილოს და დააშოშმინოს ხალხის აღშფოთებული სინიდისი. ჩვენი მთავრობის ლმობიერების ღირსნი არ არიან ისინი, ვინც იარაღით ხელში სასიკვდილო მახვილს სცემენ ჩვენს ხალხს ზურგში.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება რკინის გზელთა მეორე ყრილობის დადგენილება ავაზაკთა და მოღალატეთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. დემოკრატიის მოწინავე რაზმი ხალხის სახელით აცხადებს, რომ დღევანდელ არაჩვეულებრივ პირობებში, არაჩვეულებრივი საშუალებანი და საგანგებო სასამართლო უნდა იქნეს ამოძრავებული. სისუსტე, ორჭოფობა და მერყეობა მიუტევებელი დანაშაული იქნება ისტორიისა და ხალხის წინაშე. დღეს ყველასთვის აშკარაა, (სხვადასხვა ადგილს დაპატიმრებული ავაზაკები უკვე გამოტყდნენ), რომ ყაჩაღები ბოლშევიკებს ყავთ დაქირავებული. უდაოა ყველასათვის ისიც, რომ ჩვენში ეგრედ წოდებული კომუნისტები ლენინისა და დენიკინის აგენტები არიან. ერთი სიტყვით ეს ხალხი უცხო და ჩვენდამი მტრულათ განწყობილი სახელმწიფოთა დაქირავებული აგენტებია, ისინი ჩვეულებრივი მოღალატენი არიან: ეს იუდას თანაზიარნი, თუმცა არა ოცდაათ ვერცხლით, არამედ უფრო ძვირათ, მაგრამ მაინც ყიდიან სამშობლოს, რესპუბლიკას, ხალხს. გადაიკითხეთ ბოლშევიკების შესახებ მასალები, გადაათვალიერეთ, თუ გინდ ჩვენს გაზეთში მოთავსებული კორესპონდენცია თელავიდან, და თუ ვინმეს ამდენხანს ეჭვი ეპარებოდა, გაიგებს, რომ ეს მოღალატენი დღიურათ ხარჯავენ ათი და ასი ათასობით უცხოეთიდან შემოტანილ ფულს.

კომუნისტათ წოდებულ ავაზაკს, ყაჩაღს, მოღალატეს შეუძლია იარაღით ხელში ამბოხდეს ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ხალხის მთავრობის, არამც თუ უფლება, არამედ პირდაპირი მოვალეობაა სახელმწიფოებრივი ლახვარი ჩასცეს გულში რესპუბლიკის მტერს და მით ხალხი უბედურებასა და განადგურებას გადაარჩინოს.

ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ ამბებში საერთაშორისო ინტრიგის ხელი მუშაობს. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი მოღალატეთ უნდათ მსხვერპლათ შესწირონ უცხოელ ავანტიურისტთა განზრახვებს. კმარა. სასწრაფოთ დოსტაქრის დანით უნდა მოიკვეთოს ჩვენი ხალხური ორგანიზმის მოჰპალი ადგილები. ვინც მახვილი ხალხის წინააღმდეგ აღმართა, ის ხალხის მახვილით განგმირული უნდა დაეცეს ძირს.

ხალხმა თავისი სთქვა და ნათქვამი საქმეთ აქცია. სიტყვა და საქმე დემოკრატიის მესვეურზეა. ხალხი უცდის თავის დამფუძნებელ კრებასა და მთავრობას.

**ამხანაგო ჯარისკაცნო! ვინც გარბის თქვენგან—ის მოღალატეა თქვენი, მოღალატეა ქვეყნის. ის გტოვებთ თქვენ, გაუძლურებთ და ახე ხელს უწყობს თქვენს დამარცხებას თქვენი დამარცხება კი ქვეყნის დამარცხებაა. მიიღეთ ზომები ამის წინააღმდეგ.**

## სასწრაფო საქმე

რუსეთის რევოლიუციამ მეტად ღრმა კვალი გაავლო ჩვენს ცხოვრებას. კლასი გაბატონებული, კლასი მართველი და გამგე ხალხის ყოფა-ცხოვრებისა მთელი ათეული საუკუნოების განმავალობაში ძირს დაეშვა, მართვა გამგეობისა სადავე ხელიდან გამოსტაცეს და ასე მის ბატონობას სამარე გაუთხარა. თავის საქმეებს თვით ხალხი დაეპატრონა, თავის ინტერესების დაცვა თვით ხალხმა იკისრა.

მარა ხალხი მთელი საუკუნოების განმავლობაში სხვის ოჰეკას განიცდიდა, ის ჩამოშორებული იყო ყოველივე იმას, რაც ხელს შეუწყობდა მის პოლიტიკურათ აღზრდას, გაწვრთნას და ასე მის მომზადებას დიადი სახელმწიფოებრივი მუშაობისათვის. რევოლიუციამ ერთბაშათ დაგლიჯა ყველა ის კბილიანი მავთულები, რომელიც შემოვლებული ქონდა ხალხის თვითმოქმედებას. დალეწა ყველა ის სალტეები, რომელიც გარს ერტყა მის ლტოლვა-მისწრაფებებს, გასწმინდა მისი სავალი გზა და იგი ისტორიული მისიის ასასრულებლათ მოიხმო. ხალხი ჩაება ამ რთულ და მძიმე მუშაობაში და თუ მას უჭირს ამ მძიმე უღლის ზიდვა, თუ ის ხშირათ ფორხილობს ხოლმე, ეს სრულიად ბუნებრივია და ასეც უნდა მომხდარიყო.

ჩვენი რესპუბლიკა და მისი პოლიტიკური ურთიერთობა ამ დიდი რევოლიუციის წიაღიდან წარმოიშვა. რევოლიუციის დუღილი კი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მან უარჰყო ძველი, დაამყარა ფაქტიურათ ახალი მდგომარეობა, რომელსაც ერთი იცავს, მეორე ებრძვის; ერთი ცნობს, მეორე უარყოფს. ახალი წესი მხოლოდ დიდი ხნის შეჯახების და ბრძოლის შემდეგ ხდება საყოველთაო სავალდებულო ნორმათ. ეს ბრძოლა, ეს შეჯახება, ეს ძალთა ჭიდილი ჩვენში ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ეს ყველაზე უფრო მწვავე, ყველაზე უფრო საბედისწერო წამებია ხალხისათვის თავის უფლებების და ბატონობისათვის ბრძოლაში.

ხალხი, აღზრდილი და გაწვრთნილი პოლიტიკურ ბრძოლაში, გამოცდილი და გამოწრთობილი თვითმოქმედებაში, ადვილათ ერკვევა შექმნილ პირობებში, იოლათ ხსნის დასკვნილ ხლართს და სწრაფათ იკაფავს სავალ გზას. ჩვენი ხალხისთვის კი მეტად ძნელი იყო რევოლიუციისა და ომის ულრან ტყეში სწორი და მარჯვე გზის გაყოლა. მარა მან დღემდის ეს შესძლო და თუ აქა იქ უხვევდა და შეიძლება შემდეგაც გაუცდეს ფეხი, ვიმეორებ, ეს არც კი უნდა გაგვიკვირდეს.

ხალხი იზრდება და იწვრთნება პრაქტიკული გაკვეთილებით. ასეთ გაკვეთილებს მას უკვე აძლევს ჩვენი ცხოვრება. მარა ამ გაკვეთილების ახსნა განმარტება, მისი შეთვისების გაადვილება—ეს უდიდესი საქმე და მოვალეობაა და ეს უნდა დააყენოს პირველ რიგში ყველა იმან, ვისაც აინტერესებს ჩვენი ხალხის წინსვლა და კეთილდღეობა.

ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით იმ იდეას, რომელიც დაიბადა დამფ. კრების სოციალდემოკრატიულ ფრაქციაში. ესაა საპროპაგანდო კომისიის დაარსება დამფ. კრების პრეზიდიუმთან. ასეთ კომისიას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ხალხი და დეპუტატები ერთმანეთს დაუახლოვდება, ხშირათ შეხვდება, გაარკვევენ და განმარტავენ საჭირბოროტო კითხვებს და ასე ჩვენი ინტელიგენცია, მოწინავე ელემენტები შესძლებენ ითამაშონ იმ „ბებია ქალის" როლი, რომელიც შეუმსუბუქებს ჩვენ ხალხს დემოკრატიული წესების დამყარების მშობიარობის ტკივილებს.

ხალხის ფსიხოლოგია დღეს დიდ ცვალებადობას განიცდის. ცდილობს შეეგუოს ძალთა განწყობილებას. აქ მას სჭირია დიდი დახმარება.

მას აქვს ბრძოლის მრავალი ახალი მეთოდები, რომელთა შეწევნობით იგი ადვილათ შესძლებს გზა გაიკაფოს ბედნიერი მომავლისაკენ. აქ მას სჭირია ხელის შეწყობა ამ მეთოდების მარჯვეთ და სასარგებლოთ გამოყენებაში. ამაში კი დიდ დახმარებას გაუწევს განზრახული საპროპაგანდო კომისიის დაარსება და ჩვენი სურვილია მისი რაც შეიძლება მალე დაარსება.

ყველაფერი ხალხისთვის, ყველაფერი ხალხის საშუალებით. დახმარება და ხელის შეწყობა—აი ჩვენი მიზანი, აი ჩვენი სახელმძღვანელო იდეა.

განი.

**ამხ. ჯარისკაცნო! დეზერტირს არ უნდა ემსახუროს ხალხს თქვენთან ერთად. ნუ დაუშვებთ ამას. შეაგნებინეთ მათ თავის მოვალეობა. მისწერეთ და მოითხოვეთ უკან მათი დაბრუნება.**

## არჩევნები იტალიაში

16 დეკემბერს მოხდება არჩევნები იტალიის პარლამენტში. ამ არჩევნებს გადამჭრელი მნიშვნელობა ექნება, როგორც იტალიის შინაურ მდგომარეობაზე, ისე განსაკუთრებით საერთაშორისო მდგომარეობაზე და კერძოთ რუსეთის ბედზე. როგორია ძალთა განწყობილება?

იტალიის წვრილ პოლიტიკურ პარტიებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, საარჩევნო ბრძოლას აწარმოებს სამი მიმართულება. სოციალისტური პარტია, რომელიც, მიუხედავათ შინაური მწვავე უთანხმოებისა არა მარტო ტაქტიკური, არამედ პოლიტიკურ კითხვებში, არ გათიშულა და ერთსულოვნად გამოდის მომავალ არჩევნებზე. პარტიის ელემენტებს აერთებს ის დებულება, რომ ევროპა და კერძოთ იტალია ძირითადი სოციალური გადაქმნის წინ სდგას და ასეთ დროს აუცილებლად საჭიროა ერთსულოვანობა ამ გადაქმნის მეთაური პარტიის შიგნით.

ცენტრს წარმოადგენს რესპუბლიკანურ-რადიკალური პარტია, რომელიც მოითხოვს რადიკალურ პოლიტიკურ ცვლილებებს (რესპუბლიკის დაარსებას) და მსხვილი მიწათ მფლობელობის გაუქმებას. ორივე პარტია სხვადასხვა ტემპით და სიძლიერით წინააღმდეგია რუსეთის საქმეებში ჩარევის და სიმპატიით ეკიდება რუსეთის რევოლიუციას. ორივე ებრძვის მემარჯვენე (სამხედრო) პარტიას. მემარჯვენე ელემენტები ზოგიერთ რეფორმების ცხოვრებაში გატარებას მოითხოვენ, ხოლო რაც შეეხება არსებულ პოლიტიკურ სოციალურ წყობილებას, ხელშეუხებლად სტოვებენ. საგარეო საქმეებში—ეს პარტია (მემარჯვენეები) მომხრეა როგორც რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის, ისე ზოგიერთი კუთხეების (მაგალითად ფიუმესი) იარაღით ხელში ჩაგდების. ეს ომის გაგრძელების პოლიტიკაა. ამ პარტიას ეკუთვნის პოლიტიკის დეკადენტი ბელეტრისტი დანუნციო.

ძნელია იმის თქმა, თუ რომელი პარტია გაიმარჯვებს, მაგრამ ადვილია იმის წინასწარმეტყველება, რომ მემარჯვენე პარტია დამარცხდება. ამ ნაირად გადამჭრელი ხმა მომავალ პარლამენტში ექნება ან სოციალისტურ პარტიას, ან რადიკალ რეფორმისტებს. თუ პირველმა მოიპოვა გეგემონია—ეს ნიშნავს არა მარტო სამხედრო პარტიის (მემარჯვენეების) დამარცხებას, არამედ რადიკალურ ცვლილებას შინაურ პოლიტიკაში და დენიკინელების წინააღმდეგ ახალი დიდი ძალის გაჩენას. მეორე მხრივ, ეს იქნება ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვა გერმანიასთან (ეს ხელშეკრულება ჯერ არ არის დამტკიცებული იტალიის პარლამენტის მიერ) და სამშვიდობო კონფერენციის სულ ახალ ნიადაგზე მოწყობა. თუ კი რადიკალ რეფორმისტებმა გაიმარჯვეს—ეს იქნება შინაური წყობილების გადაქმნის დასაწყისი. რუსეთის საქმეებში არ ჩარევა, ახლად დაარსებულ რესპუბლიკების ცნობა და რუსეთის რეაქციის დასუსტება საერთაშორისო ასპარეზზე. ორივე შემთხვევაში იტალია ახალ ცხოვრებას დაიწყებს და საერთაშორისო დემოკრატიის პოზიციას გაამაგრებს. ჩვენ მოუთმენლად მოველით არჩევნების შედეგებს.

ბ. თეკლათელი.

**ამხ. ჯარისკაცნო! აჩვენეთ უცხოს და შინაურს, რომ თქვენ ღირსი ხართ თავისუფლების. შეგიძლიათ მისი დაცვა, მისი მოვლა, პატრონობა.**

## უკანასკნელი ცნობები

### მთის აჯანყების გარშემო.

დერბენტი კვლავ გარშემორტყმულია დაღესტნელებისაგან. აჯანყებულების დერბენტიდან დროებით გასვლა აიხსნება სამწუხარო შემთხვევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა დერბენტთან, სახელდობრ, პოლკოვნიკ რამაზანოვის მოღალატურად მოკვლით, რომელსაც თავის თავზე ჰქონდა მიღებული დერბენტის ფრონტის სარდლობა. პოლკოვნიკი რამაზანოვის მკვლელობა მოხდა დერბენტის გარნიზონის შეტევაზე გადასვლისთანავე, რომელმაც სწორეთ ამ დროს მიიღო დამხმარე ძალა. ეხლა გამოსავალი გზა გამონახულია და აჯანყებულებმა დერბენტს გაორკეცებული ენერგიით შემოარტყეს ალყა.

მთიელთა მეჯლისის დელეგაციამ ინახულა აზერბეიჯანის პარლამენტის ფრაქციები, მუსსავატი, იტტიხადი და სოციალისტური, სადაც დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა დელეგატმა მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქმის მდგომარეობის შესახებ. ფრაქციებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს მთიელთა ხალხს, რომლებიც მამაცურად იცავენ თავის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

ოც ოქტომბერს ჩეჩენთა ერთი პარტიზანული რაზმი მოიხსნა თავის სადგომ ადგილიდან და გაემართა ახალი სამრეწველო ადგილების დასაკავებლად, რომელიც გროზნიდან 5—6 ვერსით არის დაშორებული. სამრეწველოებთან ამაღლებულ ადგილებზე ხანკალის ხეობის შესავალთან იდგა მოხალისე ყაზახთა ერთი გარნიზონი ტყვიისმფრქვევლებითა და ზარბაზნებით, რომლებმაც პარტიზანელების დანახვისთანავე დაიწყეს სროლა ზარბაზნებიდან და ტყვიისმფრქვევლებიდან. როცა პარტიზანელები მიუახლოვდენ მოხალისეთა გარნიზონს თოფის ერთი გასროლის მანძილზე, გაჩაღდა სასტიკი სროლა, რომელიც ერთ საათზე მეტს გაგრძელდა. ბოლო დროს მოხალისეთა გარნიზონმა ვერ გაუძლო პარტიზანელთა შეტევას და დაიწყო დახევა გროზნის მიმართულებით; პარტიზანელებმა დაიკავეს ახალი სამრეწველოები. ჩქარა მოხალისეები უთავბოლო დახევით შევიდენ თვით ქალაქში, პარტიზანელებს ორი დღე ეკავათ სამრეწველო ადგილები. ამ ხნის განმავალობაში მოხალისეებს ერთხელაც არ მოუნდომებიათ ეს ადგილები უკანვე დაებრუნებინათ. ხმები იყო, რომ ამ დროს თვით ქალაქში აჯანყების განზრახვა იყო, რომელიც ჩაჩუმებულ იქნა აუარებელ სისხლის დაღვრით. პარტიზანელებს მეორე დღეს ესმოდათ ქალაქიდან სროლა, რომელიც რამოდენიმე საათი გაგრძელდა, მაგრამ თუ რა სროლა იყო ეს, პარტიზანელებმა ვერ გამოარკვიეს. მეორე დღეს პარტიზანელებმა თავი დაანებეს ამ ადგილს და წავიდნენ თავის ძველ სადგომებზე. მოხალისეებს კი არავითარი აქტივობა არ გამოუჩენიათ, რომ ძალით აშორებინათ პარტიზანელები მათი პოზიციებიდან. („ვ. გ.")

### დაღესტნის თავდაცვის საბჭო.

ალი ხაჯიმ შემდეგი მოწოდება გამოუშვა: „ცალკე ფრონტების სარდლობას და ოლქთა უფროსებს ცნობისათვის და ასკერებს ხალხში ფართოდ გასავრცელებლად და სახელმძღვანელოდ:

„ამა წლის 19 ოქტომბერს სოფ. ლევაშში ჩრდილოეთ-კავკასიის შეიხ ულ ისლამის ალი ხაჯი აკუშინსკის თავმჯდომარეობით შესდგა ფრონტზე მებრძოლ ჯგუფთა წარმომადგენლების არაჩვეულებრივი კრება, რომელმაც აუცილებელ საჭიროდ დაინახა სამშობლოს ანარქიისა და მტრის შემოსევისა-

# დღეს

ფრანგული პრესა იუწყება, რომ ჰააზე გარდაიცვალა

გერმანიაში საერთო გაფიცვები შესწყდა.

ისპანიაში გაფიცვები დაიწყო.

იტალიის პროფ. კავშირთა ფედერაციამ გამოუშვა მთელი ქვეყნის პროლეტარიატისადმი მოწოდება, სადაც მუშებს წინადადებას აძლევს არ დაამუშაონ რუსეთთან ომისთვის სამხედრო მასალა.

იაპონიამ შეერთებულ შტატებს გაუგზავნა ნოტა, სადაც აცხადებს, რომ ის მზად არის ამერიკის მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყოს ციმბირის მდგომარეობის შესახებ.

კრასნოე სელოს დასავლეთით 33 ვერსზე წითელმა ჯარმა აიღო ს. კასტოვო.

წითელმა ჯარმა აიღო ქ.ქ. გდოვი, ფასტოვი, ნიჟნე დევიცკი, სევსკი და მალო არხანგელსკი.

---

გან დასაცავად დაარსებულ იქნას დაღესტანის თავდაცვის საბჭო.

დაღესტანის თავდაცვის საბჭო, დროებით, სანამ შესდგებოდეს საერთოდ მთიელთა მთავრობა, დაღესტანის უმაღლესი მმართველი ორგანო იქნება, რომელსაც მიზნად აქვს შიგნით მხარეში წესრიგის დამყარება და ხალხთა ძალის შექმნა ფრონტისათვის დენიკინის უღლის წინააღმდეგ, რომელსაც მოაქვს კვლავ მონობა და ყაზახთა დესპოტიზმის მთელი სიმძიმე.

დაღესტანის თავდაცვის საბჭო, უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლებს, რომ დაიცვას ისლამი, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მთიელთა მიწა, რომლებიც დენიკინს სურს კვლავ დაუბრუნოს ყაზახებს, მაგრამ მათ დასაცავად ჩვენ ვიბრძოლებთ ისევ მედგრად და მამაცურად, როგორც იბრძოდნენ ჩვენი მამები შამილის მეთაურობით. უკეთესია ყველა დავიხოცოთ, ვიდრე განმეორებულ იქნას ის ნაციონალური თავმოყვარეობისა და ოჯახური სიწმინდის შეურაცყოფა, რის უფლებას აძლევდენ თავიანთ თავს ეხლახან დაღესტანიდან განდევნილი ყაზახები. თავდაცვის საბჭო მოუწოდებს ყველას სოლიდარულ და ორგანიზაციულ მუშაობისაკენ სამშობლოს დასაცავად; ამასთანავე მოითხოვს შეგნებულ დისციპლინას ჯარში და მცხოვრებთაგან მოქალაქობრივ მოვალეობის ასრულებას. ფრონტიდან გაქცევისათვის, აგრეთვე ღალატისა, პროვოკაციისა და ცრუ ხმების გავრცელებისათვის ფრონტზე და ზურგში, დასჯილი იქნებიან სამხედრო ტრიბუნალის მიერ“

(„აზ.“)

---

**ამხ. ჯარისკაცნო! დაეხმარეთ ყველას, ვინც აშენებს ჩვენს ქვეყანას. შეებრძოლეთ იმათ, ვინც ანგრევს ამ ქვეყანას. ეს ხომ თქვენი ქვეყანაა.**

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 ნოემბერი.

**მოხალისეთა ცნობები.**

ნიკოლაევის რადიო სადგურის ცნობები. პიატიგორსკი. ოქტ. 20. ოსეთის მმართველმა დენიკინისგან დეპეშა მიიღო:—„ვთხოვთ ოსეთის ხალხს გადასცეთ ჩემი გულითადი მადლობა მისი მისალმებისა კეთილ სურვილების გამო და აგრეთვე ოსეთის ხალხის სამხედრო მუშაობისთვის“. ეს დეპეშა პასუხია ოსეთის მმართველის დეპეშაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ ოსეთი ამაყობს საერთო დიდ რუსეთისთვის მოხალისეთა ჯართან ერთ დროშის ქვეშ ბრძოლით და მიესალმება გენ. დენიკინს.

**ბოლშევიკური ცნობები.**

მოსკოვი. სამხედრო ცნობა უკანასკნელ ბრძოლებში ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი და წამოვიყვანეთ 100 ზე მეტი ტყვე. ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი ენერგიულად სდევნის მტერს, სად. ვოლოსოვოს მიუახლოვდა, ეხლა იამბურგის სამხრეთ აღმოსავლეთით 25 ვერსზე იბრძვის; წამოვიყვანეთ დაახლოვებით 100 ტყვე და ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები. ჩვენმა ჯარმა მედგარი შეტევით ქ. გდოვი აიღო და ჩრდილოეთისკენ 20 ვერსით წინ წაიწია. ლეპელის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ულლას დასავლეთით 10—15 ვერსზე იბრძვის.

მოსკოვი. ნოემ. 9. სამხედრო ცნობა. ფინეთის ყურეს რაიონში კოპორის ყურეს სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ ჩვენი წინსვლა გრძელდება. იამბურგის მიმართ. ჩვენი ჯარი მტრის დევნას განაგრძობს და კრასნოე სელოს და გატჩინოს დასავლეთით 50 ვერსზე მდებარე სოფ. მიაღწია, ამასთანავე წამოიყვანა 3000-მდე ტყვე, ხელთ იგდო 6 ტყვიისმფრქვეველი და სხვა დავლა. ზოგან მოწინააღმდეგე ჩვენ ჯარს მკაცრ წინააღმდეგობას უწევდა. ჩვენმა ჯარმა, რომელიც სად. ლუგისკენ უტევდა იამბურგის სამხრეთ აღმოსავლეთით 15 ვერსზე მყოფ რაიონს მიაღწია. ნარვისკენ უკან დახეულ მოწინააღმდეგის დევნას განვაგრძობთ; ნარვის სამხრეთით 25 ვერსზე და მდ. ნაროვის დასაწყისის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე რამდენიმე სოფ. ავიღეთ. პსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი კონტრ შეტევაზე გადავიდა და პსკოვის დასავლეთით 10 ვერსზე რამდენიმე სოფ. აიღო, ამასთანავე ხელთ იგდო 40,000 ტყვია. კიევის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, ბრძოლით ფასტოვი აიღო და მოწინააღმდეგე სამხრეთისკენ უკუ აგდო. კიევის სამხრეთ დასავლეთით 16 ვერსზე რკინის გზასთან ჩვენმა ჯავშნიანმა მატარებელმა მოწინააღმდეგის 2 ზარბაზანი დაამტვრია. ჩერნიგოვის რაიონში მკაცრი ბრძოლებია მდ. დესნაზე გადასავალების ხელში ჩასაგდებად. ჩერნიგოვის სამხრეთით დეტჩინის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. დესნას სამხრეთის ნაპირზე გადავიდა და რკინის გზის დასავლეთით რამდენიმე სოფელი აიღო. დმიტრიევის მიმართ. ჩვენმა ჯარმა სევსკზე მოტანილი მტრის იერიში სამჯერ მოიგერია და დმიტრიევისკენ ავიწროვებს მტერს. დმიტრიევის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე მკაცრ წინააღმდეგობას უწევს ჩვენ შეტევას და კონტრ-იერიშები მოაქვს. კურსკის მიმართ. ქ. ფატეჟის ჩრდილოეთით 5 ვერსზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. რკინის გზასთან მკაცრი ბრძოლებია სად. მალო არხანგელსკის ასაღებად. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი 5 ვერსით გასცილდა სამხრეთისკენ. შჩიგროვის მიმართ. ჩვენი ჯარი მდ. სოსნაზე გადის. სად. კასტორნაიას სამხრეთით 5 ვერსზე ჩვენი ცხენოსანი ჯარი მკაცრად იბრძვის წინ წასაწევად. ნიჟნე დევიცკი ჩვენმა ჯარმა აიღო: ლისკის მიმართ მდ. სვოროსტინაზე ბრძოლა გრძელდება. კალაჩის მიმართ ბრძოლის შემდეგ სად. ტალოვაიადან უკუ ვაგდეთ. ნოვოხოპერის მიმართ. მდგომარეობა უცვლელია. ურიუპინის ჩრდილოეთით 5 ვერსზე მკაცრი ბრძოლაა. მდ. ბუზულუკის ქვემო ნაწილსა და ხოპერის შუა მოწინააღმდეგე მდ. ხოპერის მარჯვენა ნაპირზე უკუ ვაგდეთ. ვოლგის მარცხენა ნაპირზე ცარიცის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მარჯვედ დაიწყო შეტევა. პეტროპავლოვის რაიონში წითელი ჯარი წინ მიიწევს და პეტროპავლოვის აღმოსავლეთით 20 ვერსზე მდებარე სოფლების ხაზზე გავიდა. იშიმის რაიონში სად. მანგუტის სამხრეთით დაახლოვებით 2000 ტყვე წამოვიყვანეთ. იმავე ადგურის სამხრეთით ცხენოსანმა დივიზიონმა ტყვედ წამოიყვანა მოწინააღმდეგის მე 59 საიანის პოლკი, მთლიანად. ტობოლსკის რაიონიდან ცნობები არ მოსულა.

კიევის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენი ჯარი განაგრძობს ჩერნიგოვთან დამარცხებულ მტრის მდ. დესნას მარცხენა ნაპირისკენ დევნას. სევსკი ავიღეთ. მოწინააღმდეგე უწესრიგოდ იხევს ჩრდილო-დასავლეთისკენ. კურსკისკენ წითელმა ჯარმა მოწინააღმდეგის მკაცრი წინააღმდეგობა სძლია და აიღო მალო-არხანგელსკი და მის სამხრეთ დასავლეთით რამდენიმე სოფელი. ჩვენი ცხენოსანი ჯარი მტრის ზურგში შეიჭრა და სად. ვოზის რაიონში რკინის გზა გააფუჭა. ლივნისკენ ჩვენი წინსვლა მარჯვედ ვითარდება; ლივნის სამხრეთ აღმოსავლეთით 35 ვერსზე 30 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიისმფრქვეველი, დიდი ძალი ზარბაზნის ყუმბარა და სხვა სამხედრო დავლა. კასტორნაიას მიმართულებით სად. ნადეჟნაია ავიღეთ. ლისკისა და ბობროვის მიმართულებით სწარმოებს მკაცრი ბრძოლები, გამარჯვება ჩვენს მხარეზეა. ნოვოხოპერის რაიონში წითელი ცხენოსანი ჯარი სადგ. კალმიკს დაეცა, მოწინააღმდეგის რაზმი მოსპო და დავლა წამოიღო. ურიუპინსკის სამხრეთით ჩვენი ჯარი პრავოტოროვსკაიას უტევს. მდ. კუმილგის შესართავთან სად. კუმილჟენსკაიას აღების შემდეგ ჩვენი ჯარი სამხრეთისკენ წინსვლას ავითარებს. დონზე ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებენ. ცარიცის დასავლეთით ბრძოლაა. ურალსკის რაიონში წითელი ჯარი ისევ წინ მიიწევს სამხრეთისკენ. პეტროპავლოვსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა მიაღწია პეტროპავლოვსკის აღმოსავლეთით 85 ვერსის მანძილზე მყოფ ფრონტს, ამასთანავე ტყვედ წამოიყვანა მტრის მე-4 პოლკის შტაბი, პარტიზანულ რაზმების 2 უფროსი და 900-მდე ტყვე და ხელთ იგდო 5 ტყვიისმფრქვეველი და სხვა დავლა. იშიმის აღმოსავლეთით 80 ვერსზე სად. მანგუტი ავიღეთ. აქ ხელში ჩაგვივარდა მსროლელთა მე 4 პოლკი მთლიანად და შეერთებულ დივიზიის შტაბი. ტობოლსკის აღმოსავლეთით 170 ვერსზე ბრძოლაა უსტ იშიმის ასაღებად. რესპუბლიკის რევ. სამხ. საბჭოს შტაბის სამხედრო კომისარის თანაშემწე დანიშევსკი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ბერლინში საერთო გაფიცვების შეწყვეტას პრესა ხსნის როგორც გერმანიის ეკონომიურ ცხოვრების განახლების ნიშანს, რომელიც იმედს იძლევა, რომ გერმანია საზავო ხელშეკრულების ვალდებულებებს შეასრულებს. გაზეთები სარგებლობენ შემთხვევით, რომ გაიმეორონ გერმანიისადმი კეთილი სურვილები, რათა მან აასრულოს პირობები იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია.

იტალიის პროფ. კავშირთა ფედერაციამ გამოუშვა მთელი ქვეყნის პროლეტარიატისადმი მოწოდება, სადაც მუშებს წინადადებას აძლევს არ დაამუშაონ რუსეთთან ომისთვის საჭირო სამხედრო მასალა.

ისპანიაში გაფიცვები დაიწყო, ბარსელონაში კი ფართო ხასიათი მიიღო. იუწყებიან აგრეთვე, რომ გიბრალტარში საერთო გაფიცვები მოხდა.

ხუთთა საბჭომ უნგრეთის საკითხის განხილვა ორშაბათისათვის გადასდო.

იაპონიამ შეერთებულ შტატებს გაუგზავნა ნოტა, სადაც აცხადებს, რომ ის მზად არის ამერიკის მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყოს ციმბირის მდგომარეობის შესახებ.

მაშინ, როდესაც საზავო ხელშეკრულების პირობით გერმანიამ თავისი არმია 100 ათასამდე უნდა შეამციროს, პოლონეთი ცდილობს საჩქაროდ გაადიდოს თავისი არმია 600 ათასამდე. ეს მზადება, ლიტვის გარდა, მიმართული უნდა იყოს გერმანიის წინააღმდეგ.

ვაშინგტონში მუშათა საერთაშორისო კონფერენციამ დააწესა კვირაში 48 საათის სამუშაო და არა 8 საათის სამუშაო დღე, რითაც საშუალება მიეცათ იაპონიას, ჩინეთს და ინდოეთს უფრო ელასტიური იქნეს სამუშაო დრო, რადგან იქაური მუშათა კლასი არ არის შესაფერისად განვითარებული, შეიძლება მოხდეს გადახვევა ამ კანონებიდან.

სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა ნოსკემ ხემნიცში თავის ამომრჩევლებს სიტყვით მიმართა. მას დიდი ოვაციებით შეხვდნენ. მან სთქვა: თუ ოდესმე შესაძლებელია, რომ ხალხთა კავშირი შეიკვრება, შეიძლება საზავო ხელშეკრულების პირობები შეიცვალოს, მაგრამ ამ ჟამად გერმანიის მთელმა ხალხმა უნდა უფრო ცოტა მოიხმაროს და ბევრი იმუშაოს, ვიდრე ამას ომამდე სჩადიოდა, ნოსკეს არა სწამს მსოფლიო რევოლიუცია და ეს კიდევაც რომ ყოფილიყო, ჩვენ მაინც არ დაგვეხმარებოდა. ამერიკაში რევოლიუცია იქამდე მიგვიყვანდა, რომ ჩვენ მილიონი ხალხი შიმშილით დავეხოცებოდით.

ფინეთის გენერალმა მანერჰეიმმა, რომლის უკან გამოწვევა დაკავშირებულია რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრების ფინეთის განზრახვასთან, გავლით პარიზში ყოფნის დროს სხვათა შორის ისაუბრა კლემანსოსთან. პარიზიდან მანერჰეიმი ვარშავაში წავა, სადაც ის ადგილობრივ მთავრობასთან დამოკიდებულებას დაამყარებს. ამავე დროს განხილულ იქნება პოლონეთის მთავრობის მოლაპარაკება დენიკინთან საერთო ანტი-ბოლშევიკურ ფრონტის შექმნის შესახებ.

ელზას-ლოტარინგიის რესპუბლიკანურმა სახალხო და მემარცხენე პარტიებმა საფრანგეთის დეპუტატთა პალატას და სენატს წარუდგინეს საარჩევნო სია, რომელიც ერთიან ელზასელებისაგან შესდგება.

**ფრანგული პრესის ცნობები**

იუწყებიან, რომ სოციალისტი ჰააზე, რომელიც ოქტომბრის დამლევს ვილაც შეშლილს დაუჭრია, გარდაიცვალა.

კლოტცმა გუშინ წარმოსთქვა დიდმნიშვნელოვანი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ თუ საფრანგეთის ვალი უცხო სახელმწიფოებს 30 მილიარდ მარკას უდრის, ზოგიერთ მოკავშირესაც მართებს საფრანგეთისა 12 მილიარდი. 1914 წლამდე კი უცხოეთში მოთავსებული საფრანგეთის კაპიტალი 40 მილიარდს უდრიდა.

**ამერიკული პრესის ცნობები.**

(ლიონის რადიო სადგურიდან). ინგლისის მრეწველებმა, რომელთაც სურთ გერმანელების დაჭერილ ოლქებში საჭირო დამოკიდებულება დაიწყონ, კელნსა და ლონდონს შორის ყოველდღიური პირდაპირი მიმოსვლა მოაწყვეს.

საფრანგეთში ოოშაბათს დაიწყებს მოქმედებას საჰაერო ფოსტა.

---

**ყალბია და დამღუპველი ის აზრი, თითქოს პოლიტიკური პარტიის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს ავაზაკთა და დეზერტირთა წინააღმდეგ ბრძოლა.**

---

# ახალი ამბები

**კომუნისტების შეპყრობა ახალციხეში.** შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ქალაქ ახალციხეში წუხელ მივაგენით ახალციხე-ახალქალაქის კომუნისტურ ორგანიზაციის ბინას, სადაც ხელთ ვიგდეთ სამი დროშა მოწოდებათა, ბრძანებების დედნები და ბეჭედი. დავაპატიმრეთ ორი ქალი და ერთი კაცი. ირკვევა, რომ მზადდებოდა გამოსვლა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. გამოძიება სწარმოებს. დაწვრილებით მოხსენებაში. მაზრის კომისარის თანაშემწე ჩაჩიბაია.

◆ **ჯამაგირების მომატება მასწავლებელთათვის.** დამფუძნებელი კრების განათლებისა და საბიუჯეტო კომისიის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა რესპუბლიკის ყველა ტიპის მასწავლებლებს ჯამაგირები გაუდიდდეს 100 პროცენტით.

◆ **სერბიის კონსულის გაცარცვა.** ოქტომბრის 21 დილის 7 საათზე მალთაყვის ხიდის ახლო ბოროტ-გამზრახველებს გაუძარცვავთ ფოთიდან სუფსაში ეტლით მიმავალი სერბიის კონსული ქ. ბათუმში საბა სტეფანის ძე კელევიჩი. ბოროტ გამზრახველნი ვერც დაზარალებულს და ვერც მეეტლეს ვერ უცვნიათ, ეჭვით დაპატიმრებული არიან ნავთსადგურის მუშა არსენ გუნია და კალისტრატე ქორიძე. გამოძიება სწარმოებს.

◆ **იუსტიციის სამინისტროში.** ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ა. წ. 2 ოქტომბრის 23 და 24 ბოლშევიკების გამოსვლების შესახებ წინადადება მიეცა განსაკუთრებულ საქმეთა სასამართლოს გამომძიებელს დევიძეს შეუდგეს გამოძიებას თანახმად სასჯ. დებულ. მე 100 და 123 მუხ.

◆ **50,000 მანეთის** მოგებიან ბილეთის 4 კუპონი წარუდგინა ლატარიის გამგეობას ქ-ნ ანნა მეხრიშვილის ასულმა, რომელიც ამ ჟამად მსმენელია საფერშლო სკოლისა.

◆ **ვექილების და მათ თანაშემწეთა** შორის სანიტარულ გადასახადის განაწილება ქალაქის გამგეობამ არ დაამტკიცა და ახლო მომავალში თვითონ გაანაწილებს მათი შეძლების კვალობაზე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1 განყოფილება (ნაძალადევი) 1. დამფუძნებელ კრების წევრი, უკრაინაში საქართველოს წარმომადგენელი, ვიქ. თევზაია—„საერთაშორისო მდგომარეობა“. 3 განყოფილება. (ჩუღურეთი) 1) ალ. ქორქელიანი „მე-19 ტე საუკუნის ისტორია დასავლეთ ევროპისა“. 2) შალამბერიძე „ქიმია“. 6 განყოფილება (ერთობის უბანი) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“. 2) ქრ. რაჭველიშვილი „სოციალური ბრძოლა ძველ რომში“.

◆ **დამფ. კრების წევრები კახეთში.** კახეთში ოთხშაბათს 12 ნოემბერს მიემგზავრებიან დამფუძნებელ კრების წევრები ი. გომართელი და ს. მაჭავარიანი. სახალხო ყრილობები გაიმართება ყვარელში, შილდაში, ნაფარეულში, იყალთოში, წინანდალში და სხვა სოფლებში.

◆ **მუხრან ხოჭოლავას ლექცია.** დღეს, საღამოს 7 საათზე, ლექციების შემდეგ პირველ აუდიტორიაში დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ დემოკრატიული სტუდენტთა სამეცნიერო წრის პირველი კრება, სადაც ლექციას წაიკითხავს ამხ. მუხრან ხოჭოლავა.

◆ **ხელზე მოსამსახურეთა კავშირის** გამგეობა აცხადებს, რომ რესტორან „შამპანი“-სადმი ბოიკოტი მოიხსნა, რადგანაც კავშირს და რესტორან „შამპანის“ მეპატრონეების შორის მოხდა შეთანხმება.

◆ **კაპელა.** ქართ. სამუსიკო საზ. ბამ და საქ. ცენტრალური კოოპ. კავშირმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს კაპელას შემადგენლობას და საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის მოიწვიეს უკეთესი ხმებს მუსიკალურის მომზადებით. მიღება სწარმოებს საღამოს 5—7 ს. სლეპცოვის ქ. № 4.

◆ **მოხსენებები ტრამვაის მუშებში.** დღეს საღამოს ექვსის ნახევარზე ტრამვაის პარკის ბაღში ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრებაზე მოხსენებას გააკეთებენ ამხ—ბი ალ. ლომთათიძე და ჯუღელი. შეუძლიათ დასწრება გარეშეებსაც.

◆ **დატუსაღება.** 9 სექტემბერს სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა გ. გობელაშვილი, რომელსაც ბრალდება მეორე ვაჟთა გიმნაზიიდან სხვადასხვა სახაზინო საქონლის ქურდობა. ბრალდებული გამოტყდა ბოროტ-მოქმედებაში.

◆ **მილოცვა.** მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო შემდეგი დეპეშა: „ზუგდიდის მაზრის ხაბუმის სათემო ხმოსანთა პირველი სხდომა, გახსნილი 31 ოქტომბერს, გულწრფელ სალამს გიძღვნის თქვენ საქართველოს დემოკრატიისა და მთელი ქართველი ერის მებაირახტრე ბელადს და გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს, მშრომელი ხალხისა და მთელი საქართველოს საკეთილდღეოდ. 30 წლისწავზე მეტია რაც თქვენ უსაზღვრო თავგანწირვით მაღლა გიჭირავთ თავისუფლების დროშა, რომლითაც უჩვენებთ გზას მშრომელ ხალხს ბრწყინვალე მომავლისაკენ—სოციალიზმისაკენ, იცოცხლეთ ჯანმრთელად და ხანგრძლივათ. მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. ხაბუმის ხმოსანთა საბჭოს თავმჯდომარე გახარია“

◆ **თხოვნა.** საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა თხოვნით მიმართავს ქალაქის თვითმართველობას ნება დართოს კავშირის წევრებს ტრამვაიზე უფასოთ მიმოსვლისა.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში.** ქალაქის თვითმართველობამ ნება დართო ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ნივთიერ სახსრის გასაძლიერებლად ოთხი დღის განმავლობაში ლოტო გამართოს ადგილობრივ კლუბებში.

◆ **სტიპენდიანტ სტუდენტთა საყურადღებოთ.** იმ სტუდენტებმა, რომელთაც სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნათ უნდა წარადგინონ განათლების სამინისტროში სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა, საზღვარ გარეთ წასასვლელი პასპორტი, (რომელიც აიღება შინაგან საქმეთა სამინისტროში) და 4 ფოტოგრაფიული სურათით.

◆ **ქართ. საქველმოქმედო საზ. თხოვნა.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თხოვნით მიმართავს ქალაქის თვითმართველობას დაუთმოს მის მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა თავშესაფარისათვის ქალაქის საცხობიდან პური დაკლებულ ფასებში. ამ საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ ამ ჟამად 90 ბავშვი იმყოფება.

◆ **სამხედრო სამინისტროს** საარტილერიო სექციის უფროსი სთხოვს ქალაქის თვითმართველობას გასცეს განკარგულება რათა 12 საათზე ზარბაზნის მსროლელ ჯარისკაცებს ზედმეტი მუშაობისთვის მიეცეს დღეში 14 მანეთი თითოეულს.

◆ **დაიკარგა პასპორტი № 75,** ვლადიმერ გველესიანის სახელობაზე მოცემული, ბელაგორის საზოგადოების კომისარის მიერ, რაც ცხადდება გაუქმებულათ.

◆ **შეცდომის გასწორება.** კვირის ნომერში დაბეჭდილ წერილში „მოუსავლობით დაზარალებანი“ მრავალი კორექტურული შეცდომებია: ნიავის მაგიერ, დაბეჭდილია—ნავი. დამთავრდეზას მაგიერ—მოთავსდება, აქა იქ ფრაზაში აკლია სიტყვები და სხვ.

---

**ვინც ყაჩაღსა და დეზერტირს არ ებრძვის, ის არ არის მოქალაქის სახელის ღირსი.**

---

### კრებები.

ოთხშაბათს, საღამოს 5 ს. მიწად მოქმედების სამინისტროს შენობაში დანიშნულია კრება აგრონომ სტუდენტებისა ტეხნიკური საქმეების მოსაგვარებლათ.

— 16 ნოემბერს, კვირას, ნაშუადღევის 8 საათზე კავშირის ბინაზე (პლეხანოვის პრ. № 139) შესდგება ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა არაჩვეულებრივი საერთო კრება. გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები. აუცილებლათ საჭიროა ყველას დასწრება.

---

**ვინც ყაჩაღსა და დეზერტირს ფარავს, ის ავაზაკის თანაზიარია.**

---

### პროვინციის ქრონიკა.

**საგარეჯო.** კვირას მცხოვრებთა კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „გარე-კახეთის მშრომელ ხალხთა კრებამ მოისმინა რა ამხ. ვალ. ჯუღელის მოხსენება მომენტზე, აღფრთოვანებული ეგებება ჩვენი დემოკრატიის ბრძოლას და იმ წითელ დროშას, რომელიც მას უჭირავს ხელში და ავალებს ამხ. ჯუღელს გადასცეს ჩვენ მთავრობას, რომ გარე-კახეთის მშრომელი ხალხი მუდამ მზათაა მხარი დაუჭიროს მას ჩვენს მტრებთან ბრძოლაში და დარწმუნებულია, რომ ის უმანკო სისხლი, რომელსაც ღვრიან ჩვენი ამხანაგ. თავისუფლების დასაცავათ გამარჯვებით დააგვირგვინებს მუშათა კლასის ბრძოლას და გზას გაუკაფავს სოციალიზმის განსახორციელებლათ“.

---

**ამხ. ჯარისკაცნო! აჩვენეთ მაგალითი, ასწავლეთ ყველას, როგორ უნდა დაიცვა ხალხი და მის ინტერესებს. თქვენ ხომ ხალხის შვილები ხართ.**

---

# ვასილ ბარნოვის იუბილე

გუშინ, 9 ნოემბერს, ქართველმა საზოგადოებამ იუბილე გაუმართა დამსახურებულ მწერალ ბელეტრისტ ვას. ბარნოვს. ღირსეული მწერალი ღირსეულად დააფასა საზოგადოებამ. დილიდანვე აუარებელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი სახაზინო თეატრის წინაშე. დილის 12 საათზე იუბილიარი მოიყვანეს დამსახურებულმა მწერლებმა. საზოგადოება მას ტაშის ცემით შეეგება ამის შემდეგ მწერალთა საზოგადოების თანხლებით იუბილიარი შევიდა სახაზინო თეატრში.

12 ნახევარ საათზე აიხადა ფარდა, სცენაზე გამოჩნდა მწერალთა საბჭო, [illegible] საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები. [illegible] მწერალთა საბჭოს თავმჯდომარე კ. მაყაშვილმა. ვ. ბარნოვის ბიოგრაფია წაიკითხა გრ. ყიფშიძემ, მისი შემოქმედების კრიტიკული დახასიათება იპ. ვართაგავამ გააკეთა. ვ. კოტეტიშვილმა წაიკითხა იუბილიარის „პორტრეტი“.

ამის შემდეგ სცენაზე შემოიყვანეს იუბილიარი.

ფეხზე ადგომით და ცხარე ტაშით და ოვაციებით შეეგება იუბილიარს დამსწრე საზოგადოება. იუბილიარი დაბრძანდა საგანგებოთ მოწყობილ სავარძელზე. მას მიესალმა საქართველოს მწერალთა სახელით მოკლე და გრძნობიერი სიტყვით დ. კლდიაშვილი და შემდეგ სალამი უძღვნა ანასტასია-ერისთავ ხოშტარიასამ.

დაიწყო მილოცვები. დამფუძნებელი კრებისა და მისი პრეზიდიუმის დავალებით იუბილიარს მიულოცა დ. ჩხეიძემ. საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წარმომადგენელმა მიულოცა და მიართვა ბარნოვს ოქროთი შემკული წმინდა ნინოს ხატი. წაკითხულ იქნა მთავრობის მისალოცი დეპეშა. ქალაქის გამგეობის სახელით მიესალმა ბ. ჩხიკვიშვილი, რომელმაც იუბილიარს გადასცა 5000 მან. შემდეგ იუბილიარს მიულოცეს სახალხო უნივერსიტეტის, წ. კ. საზოგადოების, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“, „სახალხო საქმის“, „საქართველოს“, ქართველ ქალთა საზოგადოების და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლება.

იუბილიარს მიართვეს ბევრი ძვირფასი საჩუქრები 30,000 მან. ფული. შემდეგ გრძნობიერი სიტყვით მიმართა ბარნოვს ამხ. ვლ. მგელაძემ. დასასრულ ბარნოვმა მადლობა გადაუხადა ყველას.

ოვაციები გაუმართეს. იუბილე დღის 4 ს. გათავდა. I.

---

**ხალხის შეგნება და თვით მოქმედება მოსპობს ყაჩაღობას და აღმოფხვრის დეზერტირობას.**

---

# ვასილ ბარნოვს

„ერთობის“ რედაქცია მიესალმება ვასილ ბარნოვს, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ზიდა ქართველი მწერლის მძიმე ჯვარი. ის დემოკრატია, რომელსაც „ერთობა“ ემსახურება დიდად აფასებს მცხოვან იუბილიარს, და დარწმუნებულია, რომ ის ჯერ კიდევ დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენ მწერლობას და ხელს შეუწყობს მის აყვავებას *)

„ერთობის“ რედაქცია.

---

**ყველა და ყველაფერი უნდა ამოძრავდეს ავაზაკთა, დეზერტირთა და ყაჩაღთა წინააღმდეგ.**

---

## სახელმწიფო უნივერსიტეტში

ხუთშაბათს 13 ნოემბერს ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. სახ. უნივ. მე-2 აუდიტ. დანიშნულია დრამატ. წრის წევრთა, დრამატიული ძალების ხელმძღვანელი და უკანასკნელი გამოცდა სახ. თეატრის კომისარ ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით.

ვინაიდან ეს გამოცდა იქნება უკანასკნელი და ძალების საბოლოოთ დალაგება, ყველა, წრეში ჩაწერილ ამხანაგს, ვინც გამოცხადდა 6—8 ნოემბ. გამოცდაზე და აგრეთვე მსურველთ, ევალებათ გამოცხადდენ აღნიშნულ დროს, სრულ ოთხის ნახევარ საათზე.

სავალდებულოა წინასწარი მომზადება.

— ოთხშაბათს 12 ნოემბერს საღამოს 4 საათ. მე 2 აუდიტ. დანიშნულია პირველი გალობა მომღერალთა გუნდისა ამხ. შალვა ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით.

ყველა ამხანაგი, ვინც ჩაეწერა დრამატიულ წრის მომღერალთა გუნდში, უნდა გამოცხადდეს თავის დროზე.

მდივანი ი. ელიაშვილი.

# განცხადება

**1899 წელში დაბადებულ ახალგაზრდა მოქალაქეთა სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვევაზედ.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 1899 წელში დაბადებულ ახალგაზრდა პირთა ჯარში გამწვევი და მიმღები კომისია მიმდინარე წლის შეუდგება თავის მოქმედებას თფილისის ქალაქის თვითმართველობის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან (ყოფილ სამხედრო უფრო-

*) „ერთობის“ წარმომადგენელი, რომელიც უნდა დასწრებოდა იუბილეს და პირადად მიელოცა მცხოვანი იუბილიარისათვის, სამწუხაროთ, მისგან დამოუკიდებელი მოულოდნელი შემთხვევის გამო, ველარ დაესწრო.

რედაქცია.

# დეზერტირობა და ყაჩაღობა თავისუფლების დამღუპველია

## ბრძოლა მათთან სასტიკი და დაუნდობელი. არც ერთი ავაზაკი, არც ერთი დეზერტირი არ უნდა დარჩეს სამართალში მიუცემელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ის სამმართველოსთან, ვაგზალის მოე...ანი, სახლი თამამშევის) შესაკრებ ...დგილზედ, განსაკუთრებულ შენობაში, ...ემო აღნიშნულ დღეებში, დილის 8 საათიდან: 15 ნოემბერს, შაბათს, იმ ...ირთა ჯარში გასაწვევად, ვისაც არ ...ოეპოვება წლოვანობის დასამტკიცებ...ელი მეტრიკული მოწმობები, მაგრამ ...კომლო სიის ჩვენებით ან გარეგან შე...ედულებით შეტანილნი არიან ჯარში ...ასაწვევ პირთა სიაში. ამათ გარდა იმ ...ირთა გასაწვევად, რომლებიც არიან ...აბადებული 1899 წლის იანვარში და ...ებერვალში:

16 ნოემბერს, კვირას იმ ახალგაზრ...ა პირთა ჯარში გასაწვევათ, რომლე...ც არიან დაბადებულნი მარტში და ...პრილში.

17 ნოემბერს, ორშაბათს, ვინც არი...ნ დაბადებულნი მაისსა და ივნისში.

18 ნოემბერს, სამშაბათს, ვინც არიან ...აბადებულნი ივლისსა და აგვისტოში.

19 ნოემბერს, ოთხშაბათს, ვინც არი...ნ დაბადებულნი სექტემბერში და ოქ...ტომბერში.

20 ნოემბერს, ხუთშაბათს, ვინც არი...ნ დაბადებულნი ნოემბერსა და დეკემ...ბერში.

21 ნოემბერს, პარასკევს იმ პირთა ...ასაწვევათ, რომლებიც არიან დაბადე...ბულნი 1899 წ. მიწერილნი არიან სამ...ხედრო ბეგრის მოსახდელათ რესპუბლი...ის ქალაქებში ან მაზრებში, მაგრამ ამ ...ლის 21 ნოემბერს ცხოვრობენ ქალ. ...თფილისში.

შენიშვნა: განსაკუთრებული სია იმ ...დგილობრივ მოქალაქეთა, რომლებიც ...რიან დაბადებულნი 1899 წ. და შეტა...ნილნი არიან ქ. თფილისის მოქალაქე...ა ჯარში გასაწვევ სიაში, გამოკიდე...ა საყოველთაო საცნობლად თფილის...ს ყველა უბნებში.

მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის ...როს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედვე...ლობაში შემდეგი:

1) გაწვეული ახალგაზდანი, მოვალენი ...რიან თავის დაბადების დროის მიხედ...ვით, უეჭველათ გამოცხადდენ დანიშნულ ...დგილზედ და ვადაზედ და თან უნდა ...ქონიონ ბაზპორთი ან სხვა რაიმე ...მოწმობა თავისი პიროვნების დასამტკი...ცებლათ.

2) ის ადგილობრივი მოქალაქენი, ...რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 ...წ., მაგრამ რაიმე მიზეზებისა გამო არ ...არიან შეტანილნი ქ. თფილისის ჯარში ...გასაწვევ ახალგაზდათა სიაში, მოვა...ლენი არიან, რათა აიცილონ თავიდან ...უსიამოვნო პასუხისგება, გამოუცხადონ ...ქალაქის გამგეობის სამხედრო გან...ყოფილებას 15 ნოემბრამდე და თან ...წარუდგინონ წლოვანობის საბუთათ ...მეტრიკები; მხოლოდ ვინც მათგანი ...მას ვერ მოასწრობს 15 ნოემბრამდე, ...უნდა გამოუცხადოს თვით მიმღებ კო...მისიას დანიშნულ გასაწვევ დღეებში.

3) ერთად ერთი ოჯახის მარჩენელი, ...თანახმად 1919 წ. 20 მაისის კანონისა, ...იქნება განთავისუფლებული ჯარში გაწ...ვევისაგან ლაშქარში ჩარიცხვით, თუ ...ის წარადგენს ამაზედ სათანადო მოწ...მობას, რომელიც უნდა მიიღოს მან ...თფილისის თვითმართველობისაგან ან ...მაზრის ერობის გამგეობისაგან.

4. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომ...ლებიც წარმოადგენენ სათანადო მოწ...მობებს, სამხედრო ბეგრის ვადა გადაე...დებათ 21 წლის შესრულებამდე.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლის ...სტუდენტებს, რომლებიც არიან დაბა...დებულნი 1899 წელს, არა აქვთ უფლე...ბა სამხედრო ბეგრის ვადის გადადება ...და ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ...ამ ბეგრის მოსახდელათ.

5) სამართალში მიცემული და გამო...ძიებაში მყოფი პირნი ისეთ საქმეებისა...თვის, რომელიც გულისხმობს უფლების ...აყრას ან შეზღუდვას, სამხედრო ბეგ...რის მოსახდელად არ გაიწვევიან, ვიდ...რე მათი საქმე არ გათავდება.

6) არავითარი სამსახური არც კერ...ძო, არც საზოგადო, არც მთავრობის ...დაწესებულებებში (გარდა სამხედრო ...სამსახურისა), არც სახალხო გვარდიაში ...და არც მილიციაში არ ანთავისუფლებს ...მოქალაქეთ ჯარში გაწვევისაგან.

7) თანახმად დამფუძნებელ კრებისა ...ის 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ ...დეკრეტისა შესახებ სამხედრო ბეგარის ...ასრულებლობის და ამ დანაშაულის ...ფარვის და წაქეზებისა, თუნდაც წამ...ხებელი და დამხმარე მშობელი ან ...სხვა ახლო ნათესავი იქმნეს, დამნაშავე ...ისჯება იმ წესით, რომელიც აღნიშ...ნულია ხსენებულ დეკრეტის 1 და 2 ...მუხლ. და განსაზღვრულია ბოროტმოქ...მედებაში მონაწილეობისათვის სისხლის ...სამართლის და გამასწორებელ სასჯელ ...თა დებულების მე-120, 121 და 124 ...მუხლებში.

**თფილისის ქალაქის გამგეობა.**

---

### მოუსავლობით გამოწვეული ნათესების გაფართოვებისათვის ზომების საჭიროება

(მიწათ მოქმედებს სამინისტროსაგან)

ამ ჟამად უკვე გამოირკვა, რომ წლევანდელმა უამინდობამ დიდი მოუსავლობა გამოიწვია საქართველოში; მთელი გაზაფხული და გაზაფხულის პირველ ნახევარის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა, შემდეგ ხანგრძლივი გვალვა დადგა.

ამის გამო აღმოსავლეთით საქართველოში შემოდგომის პური წვიმებმა გააპალახა და დააწვინა და გაზაფხულის პური კი მთლად გაანადგურა გვალვამ: სავსე მარცვლის ნაცვლად მჩატე გამოვიდა. ალაგ ალაგ, თფილისის მაზრის დასავლეთ სამხრეთ მთიან ნაწილში და თელავის მიდამოებში პური სეტყვამაც დააზარალა. დასავლეთ საქართველოში ცივმა წვიმიანმა გაზაფხულმა ჯეჯილის გადამეტებული სისველე გამოიწვია და ამიტომ საჭირო გახდა სიმინდის ხელახლა დათესვა მეორე მხრივ ზოგან გვალვამ და ზოგან წვიმებმა სიმინდის მოსავალი მთლად დაღუპა.

მოუსავლობის სრული სურათი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება; მისი გამორკვევა იკისრა ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა, რომელმაც მოგზაური სტატისტიკოსები დაგზავნა; ამ უკანასკნელთ საერობო დაწესებულებების, ლალის ამკრეფ ორგანიზაციების, სარაინო კომისიების, კოოპერატივების და სოფლის ყრილობათა საშუალებით მოსავლის დამახასიათებელი ცნობები უნდა შეკრიბონ სტატისტიკურ კომიტეტის მიერ შედგენილ დაწვრილებითი ანკეტით.

ზოგიერთი გამოკვლეულ ადგილებიდან კომიტეტს უკვე მიღებული და დამუშავებული აქვს მასალები და იქიდან სჩანს, რომ წლევანდელი მოსავალი საშუალოზე გაცილებით დაბალია; ზოგან კიდევ ნორმალურ მოსავლის ნახევარს ძლივს შეადგენს. ამგვარად, ჩვენს ქვეყანას მთელის სასურსათო კრიზისის გამწვავება, რომელსაც ისეც განიცდის საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს მცხოვრებთ წინა წლებშიც არ ყოფნიდა საკუთარი პური, მიუხედავათ იმისა, რომ 30 მილიონ ფუთზე მეტი ჰქონდა და ყოველ წლივ 6—7, 5 მილიონ ფუთამდე ფქვილი და ხორბალი შემოდიოდა. *)

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმავ დროს დასავლეთ საქართველოდან საზღვარ გარედ 3 მილიონამდე ფუთი სიმინდი გადიოდა და ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებშიც 1 მილიონამდე ფუთი უმეტესად ქერი, ნაკლებობა 3—4 მილიონ ფუთს შეადგენს. 1915—16 წ. ომისა და მისგან გამოწვეულ მობილიზაციის და საქონლის რეკვიზიციის გამო საქართველოში ნათესების რაოდენობა ზოგან 20—30 პროც. შემცირდა და სასურსათო პურეულისა და ქერის დაცვამ 1917 წ. ცენტრალურ სასურსათო სამმართველოს ანგარიშით 13 მილიონს მიაღწია. 1917 წლის შემოდგომიდან პურის ფასის აწევამ ნათესობის რაოდენობის საგრძნობლად ზრდა გამოიწვია და ზოგიერთ რაიონებში 25—30 პროც. და მეტსაც აღწევდა, ე. ი. ომიანობამდე არსებულ ნათესების ნორმალურ რაოდენობასაც გადააჭარბა; ამავე დროს ზოგიერთი მაზრა (ოზურგეთის, ახალციხის, ახალქალაქის) მტრის შემოსევამ დააზარალა. მიმდინარე წელს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის მიერ შეკრებილი მასალა ამტკიცებს, რომ 1917 წელს შედარებით მიმდინარე წლის ნათესობის რაოდენობამ ზოგიერთ მაზრაში (ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრის გარდა) შესამჩნევად (20—40) იმატა; მაგრამ წლევანდელი მოუსავლობა კი უეჭველია, უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს რესპუბლიკას, ვიდრე 1917 წ. იყო.

მთავრობისა და ერობათა დაწესებულების წინაშე სდგას საკითხი: მიღებულ იქნას საჩქარო ზომები, შეერთებულ ძალით აიცილონ ჩვენ მხარეს მოსალოდნელი მწვავე სასურსათო კრიზისი. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი ზომები:

1) მცხოვრებთათვის თესლის მიწოდება, და დასავლეთ საქართველოში, სადაც სიმინდი არის გავრცელებული, ადრეული (ფეტვი, ღომი, ადრეული სიმინდი) თესვისათვის ხელის შეწყობა, რომ მცხოვრებთ საშუალება მიეცეს ადრე მიიღონ მოსავალი. მცხოვრებლებისთვის მისაწვდენი თესლეულობა, რომელიც კარგად გაწმენდილი და გარჩეული უნდა იყოს, მხოლოდ ადგილობრივ ნაცად ჯიშებიდან უნდა დამზადდეს. არ შეიძლება სარწყავ მინდვრებიდან ავიღოთ თესლი ურწყავ მინდვრებისთვის. ამასთანავე საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მთა გორიან ადგილებში გაზაფხულის პური კარგად ხარობს, ბარში კი შემოდგომის.

2) მცხოვრებთათვის ბოსტნეულობის და ადრეული კართოფილის თესლის მიწოდება. კარტოფილი კარგად ხარობს მთის კალთებზე (ახალციხის მაზრა, ლორისა და მანგლისის რაიონი); ფხვიერ, ლამიან და საზოგადოთ ნოყიერ ნიადაგიან ველებზედაც კარგი მოსავალი იცის განსაკუთრებით ადრეულ წითელმა კარტოფილმა. ბოსტნეულობის მოყვანა შეიძლება სხვადასხვა გვარ კარგად დამუშავებულ და გაპატივრებულ ნიადაგზედ. საქართველოში ბოსტნეულობის კულტურა ძალიან სუსტად არის განვითარებული და მცხოვრებთა საზრდოობისთვის მას ჯერჯერობით არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

3) მცხოვრებთათვის სამეურნეო იარაღების, მანქანების და მათი ნაწილების მიწვდენა და აგრეთვე მათი შეკეთების ორგანიზაცია. ამ ჟამად იარაღების შეკეთებას ხელს უშლის რკინეულობის უქონლობა და ოსტატთა რიცხვის სიმცირე. სასურველია რომ ქუთაისის გუბერნიაში მოეწყოს კულტივატორების დამზადება, რომლების საშუალებით იაფად ჯდება მჭკრივად დათესილ სიმინდის მოვლა.

მთავრობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო მამულებში და სხვადასხვა ადგილებში პურის და ბოსტნეულობის დათესვა, როგორც ეს უკვე მოაწყო სახალხო გვარდიის შტაბმა ყარაიას მამულის მეორე განყოფილებაში.

ამ ჟამად მთავარი საკითხი არის მცხოვრებთათვის სათესლე მასალის მიწვდენა. ამის განხორციელებას უკვე შეუდგენ სხვადასხვა ერობები და ამ საქმეში მათ ხელს უწყობს მიწად-მოქმედების სამინისტრო და მომარაგების მთავარი სამმართველო. თავის მხრივ მიწად მოქმედების სამინისტრომ გამოიკვლია რესპუბლიკის უმთავრეს მოსავლიან რაიონებში, რამდენად წმინდა არის ხორბალი, მიმართა თხოვნით მთავარ სამმართველოს, რომ მან შეისყიდოს ბლომად თესლეულობა ყუბანის ოლქში და აზერბეიჯანში, და გადადოს იქიდან საუკეთესო ხარისხის თესლი ჩვენში დასათესად. ამას გარდა სამინისტრომ მოაწყო ორგანიზაცია ხორბალის გასარჩევად ყარაიაზში. გიაურ-არხში და სხვა სახელმწიფო მამულებში; აღებულ ლალიდან ითესება პური სხვადასხვა სახელმწიფო მამულებში მუშებისთვის და მოსამსახურეებისთვის მისაწვდენად; სახალხო გვარდიის შტაბს მიეცა 1000 დეს. მიწა ყარაიაზის მამულის მეორე განყოფილებაში. ყველა საჭირო ზომების განსახორციელებლად სამინისტრომ შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელიც შედგება მიწათ მოქმედების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს, ერობის ცენტრის და კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლებისაგან.

დასავლეთ საქართველოში, სადაც უმთავრესად გავრცელებულია სიმინდის კულტურა, შემდეგი ზომებია საჭირო: ჯერ ჯერობით შეძლებისდაგვარად მეტი ადგილების დათესვა შემოდგომის პურით, და შემდეგში კი ადრეული გაზაფხულის (ღომი, ფეტვი, ადრეული სიმინდი) და აგრეთვე კარტოფილის და ბოსტნეულის თესლის მიწვდენა.

დასავლეთ საქართველოს მეურნეობაში გავრცელებული სიმინდი შემოვიდა ჩვენში მე 18 საუკუნის მეორე ნახევარში. შარდენი, რომელიც მოგზაურობდა სამეგრელოში მე 18 საუკუნის მე 70 წლებში, ამბობს, რომ მეგრელები ჩვეულებრიად ხმარობენ ღომს: გარდა ამისა სამეგრელოში ითესებოდა ფეტვი, ცოტაოდენი ბრინჯი და პური, ქერი კი ძალიან ნაკლებად იყო გავრცელებული. მცხოვრებლები დასახლებული იყვნენ მთის კალთებზე და იქ მოჰყავდათ მათ ეს პურეულობა. ასი წ. შემდეგ მეორე მოგზაური გილდენშტენტი (1770—1773) აღნიშნავს, რომ იმერეთში და რაჭაში უკვე თესავდნენ სიმინდს, მხოლოდ მაშინდელ მეურნეობისთვის მას ალბად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც სჩანს იმ გარემოებიდან, რომ მე 19 საუკუნის დასაწყისში იმერეთის უკანასკნელ მეფის სოლომონ მეორის დროს ხალხი იხდიდა გადასახადს პურით, ღომით და ღვინით. შემდეგ სიმინდის თესვა ისე გავრცელდა ბარში, რომ მან საგრძნობლად დასცა სხვა გვარი პურის თესვა-მოყვანა.

ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში სიმინდით დათესილი ადგილები აღემატება 90% 1917 წელს, როგორც ვგონებ ჩვენებს აღწერა, სიმინდს ეკავა 93,2% მთელი დათესილი ადგილებისა, მხოლოდ შემოდგომის პურს კი 5,1 პროც. იმავე აღწერის მიხედვით შემოდგომის პურს ეკავა რაჭის მაზრაში 31,95 პროც. მაზრის ნათესი ადგილებისა, ლეჩხუმს—30,72 პროც., შორაპნის—8,96 პროც. დანარჩენ მაზრებში უფრო ნაკლებად არის გავრცელებული შემოდგომის პური. ქუთაისის მაზრაში, როგორც მაღლობ ადგილებზე (ოკრიბა) აგრეთვე ყვირილის და რიონის ველებზე (სად. რიონის და სამტრედიის შუა) სიმინდიან რაიონებში აქა-იქ არიან გაფანტული შემოდგომის პურით დათესილი ადგილები, და მხოლოდ სიმინდის მოუსავლობა იწვევს ხოლმე მის მოსაყანად მეტი ადგილების დამუშავებას. ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის და ლანჩხუთის მაღლობ რაიონებში პურს სთესავენ პატარა ნაჭრებზე, ბარში კი ითესება ალაგ-ალაგ ადგილობრივი ჯიშის ქვავი და უფრო იშვიათად ბრინჯი. სამეგრელოში, სენაკის მაზრის ჩრდილო ნაწილში (ზემო სამეგრელო) შემოდგომის პურით დათესილი ადგილები ძალიან ცოტაა, დაბალ ადგილებში კი იშვიათად შეხვდებით ხოლმე იმავე ჯიშის ქვავით დათესილ ადგილებს.

ამგვარად შემოდგომის პური გავრცელებულია მხოლოდ მთა-გორიან და მაღლობ ადგილებზე, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში. ქერი უმთავრესად ითესება მთის კალთებზე და მაღლობ ადგილებზე, რადგან ბარში ის ვერ ვარგობს. გურიის და სამეგრელოს დაბალ ადგილებში შემოდგომის ქვავი მოჰყავთ ისე მცირე, რომ მას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მცხოვრებთა საზრდოობისთვის.

ცდამ და დაკვირვებამ დაგვიმტკიცა, რომ საზოგადოთ უნდა ვერიდებოდეთ ნესტიან და უნაყოფო ნიადაგზე (ეწერი) პურის დათესვას; საუკეთესო მოსავალს იძლევა მხოლოდ ნოყიერი, მოშო და ფხვიერი ნიადაგი, ბარში კი მჩატე და ლამიანი ნიადაგი.

ქუთაისის საცდელ მინდორზე (ქუთაისის მიდამოებში და სოფ. კულაში) მოხდენილ ცდამ დაგვარწმუნა, რომ შემოტანილი პურის უმეტეს ნაწილს ძლიერ ეკიდება ჟანგი და უფრო საიმედო არის ადგილობრივი ჯიშის თესლეულობა, სახელდობრ შუაგულ გუბერნიაში გავრცელებული წვრილი პური. აგრეთვე კარგ მოსავალს იძლევა ქართლში, კახეთში და რაჭის მაზრაში გავრცელებული თავთუხი; ყუბანის ჯიშებიდან კი შემოდგომის პური-ბანატკა და გაზაფხულის კუბანკა. სოხუმის ოლქში სიმინდს უკავია 98 პროც. მთელი სათესი ადგილებისა და თავთავიან პურის თესვას მისდევენ იქ მხოლოდ მოსული სხვადასხვაგვარი მოსახლეები. 1918 წელში სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლად მცხოვრებლებს დაერიგა გამოწერილი შემოდგომის (ბანატკა) და გაზაფხულის (გარლოვკა) პურის თესლი (15,000 ფუთი), რომლებმაც, როგორც ამოწმებს ოლქის ყოფილი საერობო აგრონომი პრიმაკი, მოიტანა მშვენიერი მოსავალი (150—200 ფ.) დესეტინაზე.

შემოდგომის ქვავის, ადრეული ჯიშის ღომის და ფეტვის დათესვის გავრცელება დამოკიდებულია იმიდან, თუ რამდენად შესაძლებელი იქმნება ამ მცენარეების თესლის დამზადება ადგილობ. ყველაზე უფრო ადვილია ადრეული სიმინდის ქართლის) თესლის დამზადება, რომელიც გავრცელებულია გუბერნიის მაღლობ რაიონებში გორის მაზრის დასავლეთ ნაწილში. თუმცა ეს ჯიში უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში გავრცელებული ჯიშის სიმინდი, მაგივრად თვენახევრით უფრო ადრე მოდის ის. რაც შეეხება კარტოფილს, უპირატესობა უნდა მიეცეს ადრეული ჯიშის წითელ კარტოფილს, რომელიც ვარგობს როგორც მაღლობ ადგილებში, აგრეთვე ბარში.

ამგვარად, ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქისთვის თესლის მისაწვდენად საჭიროა:

1) შესყიდული იქმნეს ყუბანის ოლქში შეძლების დაგვარად შემოდგომის პურის თესლი, სასურველია ბანატკა და თუ შეიძლება აგრეთვე გაზაფხულის პურის თესლი—კუბანკა.

2) გაირჩეს და კარგად გაიწმინდოს აღებული ლალის და მთავარ სამმართველოს მიერ დამზადებული თესლეულობა; სასურველია დამზადდეს გორის მაზრის დასავლეთ ნაწილში (გომის რაიონი) და კახეთში თავთუხის თესლი.

3) შესყიდვით ან შემოტანილ თესლზე გაცვლით შეძენილ იქმნეს ადგილობრივი ჯიშის თესლები.

4) შეძენილ იქმნეს ადრეული ჯიშის თესლები: ღომი, ფეტვი, ადრეული ქართლის სიმინდი, ადრეული (წითელი) კარტოფილი და ბოსტნეულობა (კომბოსტო; ჭარხალი, ხახვი, კიტრი, პამიდორი და სხვა).

რაც შეეხება სასოფლო მეურნეობის ინვენტარს, სასურველია აქვე კეთდებოდეს სიმინდის მწკრივად მთესავი კულტივატორი.

რომ კარგი ხარისხის სათესლე მასალით უზრუნველვყოთ თფილისის გუბერნია, სადაც შემოდგომის თესვა მალე უნდა დამთავრდეს, საჭიროა:

1) შესყიდულ იქმნეს ადერბეიჯანში შემოდგომის ხორბალი, რომელიც უკეთესი ხარისხის არის ვიდრე ჩვენი ჯიშის პური.

2) რადგან აღებულ ლალის თესლი, კახეთში, ყარაიაზში, ბორჩალოს და გორის მაზრაში მოსული ხორბალი ცუდი ხარისხის არის და ამასთანავე ძლიერ წვირიანი გამოდგა, საჭიროა მათი გარჩევის და გაწმენდის მოწყობა. ეს საქმე უნდა მიენდოს ქართლში, კახეთში და ბორჩალოში ერობებს და ამისთვის უნდა მიეცეთ მათ სანიავებელი მანქანები, სორტიროვკები და ტრიერები, თუ ადგილობრივ აგრონომიულ პუნქტებში არ მოიპოვებიან ეს საჭირო იარაღები. სათესლე მასალა უნდა განაწილდეს შემდეგი წესით: ურწყავ რაიონებში უნდა იგზავნებოდეს ურწყავ რაიონებშივე აღებული თესლი, მაღალ ადგილებში უნდა გაიგზავნოს შესაფერ რაიონებში მოგროვილი თესლი და მთა-გორიან ადგილებში კი (ახალქალაქის მაზრა, მთიანი ოსეთი და სხვა გაზაფხულის პურის თესლი სუხუმის და გომის რაიონებიდან.

3) მიღებულ იქმნას ზომა, რომ ბლომად დაითესოს სიმინდი დასვენებულ ადგილებზედ და ამისთვის მიეცეს მცხოვრებთ საჭირო თესლი.

4) ფართოთ უნდა დაყენდეს სამეურნეო იარაღების გამოყენების და სარგებლობის საქმე, რისთვის საჭიროა მოეწყოს ორგანიზაცია გუთნების ნაწილების ადგილობრივ გასაკეთებლად და იარაღების შესაკეთებლად; ამისთვის საჭიროა მიეცეს ხოლმე სოფლის მჭედლებს რკინეულობა ერობების საშუალებით.

აგრეთვე თვალყური უნდა ედევნოს, რომ რესპუბლიკის საზღვარ გარედ არ გაიტანონ ხორბალი, რისთვის საჭიროა რესპუბლიკის საზღვრების დაცვა.

რკინის გზებს უნდა დაევალოს სათესლე მასალის ჩქარი გადატან გადმოტანა, რომ თავის დროზე მიეწვდინოს ის დანიშნულ ადგილებს.

მთავრობის და ერობების მიერ მიღებული ზომები მცხოვრებლებს დაწვრილებით ეცნობება როგორც ბეჭვდით აგრეთვე სიტყვით (გაზეთი პლაკატები და სხვა).

რადგან ჩვენ ერობებს არა ჰყავს სამყოფი აგრონომიული პერსონალი, ამიტომ საჭიროა რომ დროებით გაგზავნილ იქმნენ ხოლმე ამ მიზნისთვის სასოფლო მეურნეობის და სხვა დაწესებულებების აგრონომები და სპეციალისტები. მოსალოდნელი უბედურობასთან ბრძოლა შეადგენს მთავარ საზრუნავ საგანს, რისთვის საჭიროა მთელი ძალების და საშუალებების მობილიზაცია.

*) საინტენდანტოსთვის შემოტანილ პურეულობისა და ჯარისთვის საჭირო ქერის გარდა

---

**დეზერტირობა ყაჩაღობას და ავაზაკობას აძლიერებს. დეზერტირები ყაჩაღთა რეზერვია.**

---

### რპ. მზ. მუშა-მოსამსახურეთა დელ. მე-2 ყრილობა

(31 ოქტომბრის სხდომა*)

თავმჯდომარეობს გრ. ლორთქიფანიძე.

**გზის ლიანდაგის აყრის შესახებ.**

გზათა დეპარტამენტის დირექტორის ბეს. ჭიჭინაძე მოახსენებს: დღეს მითხრეს, რომ მატარებელი დამსხვრეულა კავთისხევთან. მე როცა მივედ იქ, მუშაობა უკვე დაწყებული იყო. საქმე ასე ყოფილა: 30 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე კავთისხევთან, ბუდკასთან მისულა 40-მდე შეიარაღებული ყაჩაღი. გვარდიელები და მილიციონერები 5 ვერსზე დაშორებით იყვნენ. ყაჩაღებმა მოსთხოვეს დარაჯს იარაღი ლიანდაგის ასაყრელად. მან უარი უთხრა. ამის შემდეგ მას სცემეს, შეკრეს და წაართვეს იარაღი. ამის შემდეგ უვნებლად გაიარა ორმა მატარებელმა. გახსნეს გზა მხოლოდ მაშინ, როცა მიდიოდა მატარებელი № 1. დაიმსხვრა ორთქლმავალი, დაიჭრა ორი თანაშემწე მემანქანის. თავათ მემანქანე გადარჩა, მხოლოდ მცირედ არის დაშავებული. ბარგის ვაგონი ნაფოტებად იქცა. ამ ვაგონის კონდუქტორი ბავშვით გადარჩა უვნებლად. ამას მოყვა სამი სამგზავრო ვაგონის ლიანდაგიდან გადავარდნა. ამის შემდეგ გაისმა „ურა“ და დაიწყეს სროლა. მატარებლის მხლებლები და თვით ხალხი ყაჩაღებს დახვდა იარაღით. ყაჩაღები ლაჩრები აღმოჩნდენ და ვერ გაბედეს მატარებელთან ახლო მისვლა, თუმცა-და [illegible] ცხენოსანი იყვნენ. იქ ნახეს ყუმბარები. ტყვიით მოკლულ იქმნა ვაგონში ქალი ბავშვით. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს გვარდიას და მილიციას. იქვე გამოცხადდა მილ. უფროსი შარაშენიძე, რომელიც დაედევნა ავაზაკებს და ჯერაც არ დაბრუნებულა. დამტკიცებულია, რომ ამაში მონაწილეობას იღებდა სოფ. მუხრანი, წილკანი და სხვა. თოფის ტყვიის გილზებიც კი ნახეს ამ სოფლებში. თურმე სამი დღის განმავლობაში ყაჩაღები იყვნენ აქ და ქეიფობდენ. უნდა სიამაყით განვაცხადო, რომ გაკვირვებული ვიყავით იმ შესანიშნავი მუშაობით, რაც გამოიჩინეს ჩვენმა მუშებმა. 5 საათის განმავლობაში გააკეთეს გზა და აღადგინეს სრული მოძრაობა. მე ჩამოსვლისთანავე ვნახელი მთავრობის თავმჯდომარეს და გზათა მინისტრს და მოვახსენე ყველაფერი. უკვე მიღებულია ყოველივე ზომები ავაზაკთა დასაჭერათ და ასალაგმავათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი მოახსენებს: ჯერ კიდევ მაშინ, როცა გამოირკვა რომ ბოროტმოქმედთა ხელთ მიზანში ამოღებული აქვთ რკინის გზა. ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა, რომლითაც უნდა დაცულიყო რკინის გზის ლიანდაგი. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკა, რადგან ჩვენ ვიცოდით, რომ ამ თავდასხმას აწარმოებდენ დუშეთის და გორის მაზრიდან, განსაკუთრებით დუშეთის, და ჩვენ მიზნად დავისახეთ ამ ორი მაზრის გაწმენდა. ამიტომ ჩვენ დუშეთის მაზრაში გამოვაცხადეთ სამხედრო წესი. ახლა გამოირკვა, რომ გორის მაზრაშიც ასეთი მდგომარეობა შეიქნა. გომის რაიონში აღმოჩნდა ავაზაკთა ჯგუფი, ტყვის მფრქვეველებით. ჩვენ გადავსწყვიტეთ მნიშვნელოვანი რაზმის გაგზავნა ამ რაიონის გასაწმენდათ. მაგრამ გამოირკვა რომ ამ ოპერაციის წარმოება ჯერ-ჯერობით ძნელია რადგან შემოსილი ტყე მათ დამალვაში ხელს უწყობს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გეგმის ფართოდ ცხოვრებაში გატარება მოსახერხებელი იქნას მაშინ, როცა ტყეს ფოთლები დასცვივა და მათ იქ თავის შეფარება არ შეეძლებათ. მანამდე ჩვენ გადავწყვიტეთ შენიშნულ სოფლებში, მაგ. მუხრანში, ჩავაყენებთ განსაკუთრებული რაზმი. ეს იმიტომ, რომ ამ სოფლების ამ საქმეში მონაწილეობა თითქმის აშკარა იყო, ეს იქიდანაც ირკვევა რომ სოფლის ადმინისტრაცია შესაფერ ზომებს არ იღებდა ავაზაკების წინააღმდეგ, და აი ეხლა გარწმუნებთ თქვენ, რომ ჩვენ მიერ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები ამ სოფლების წინააღმდეგ, რომ მათ გამოააშკარავონ ბოროტ მოქმედთა ვინაობა. თქვენ კარგათ იცით, რომ ამ ავაზაკების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა მოქალაქე დაინტერესებულია და თქვენც იტყვით აქ, რომ ავაზაკების წინააღმდეგ ბრძოლა მოვალეობაა ყველასი, როგორც რკინის გზის დემოკრატიის და მილიციის, ისე ჯარის და სხვა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ მოკლე დროში ხსენებული მიდამოები გაწმენდილი იქნება ავაზაკებისაგან და რკინის გზაც დაცული იქნება. (ტაში).

ამხ. გიორგაძე. თქვენი დავალებით მე დავესწარი დღეს კონდუქტორების კრებას. წინეთ, როცა მატარებლები ასე იმსხვრეოდენ, კონდუქტორებში იყო მღელვარება. ჩვენ ვუმტკიცებდით მათ, რომ ყველაფერი მოწესრიგდებოდა და ბოლო მოეღებოდა ასეთ საშინელ ამბებს. დღეს ეს მესამე შემთხვევაა მატარებლების დამსხვრევის. დღეს ისინი შეიკრიბენ და ამბობდენ, რომ მათ არ აქვთ გარანტია გადარჩენ ცოცხალნი, როცა წავლენ გზაში. იქ ამბობდენ, რომ ისინი ეკონომიურათ ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს მთავრობას მეტის მიცემა არ შეუძლია და ვმეცადინეობთ ხელი შევუწყოთ ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცებას —ამბობდენ იქ. მაგრამ ისინი მოითხოვდენ, რომ მათი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყოს. ჩვენ დავარწმუნეთ ისინი, რომ ყრილობა მოსთხოვს მთავრობას მიიღოს სასტიკი ზომები ავაზაკთა წინააღმდეგ. ამ სიტყვებით ჩვენ დავაწყნარეთ ისინი და კიდეც შეუდგენ მუშაობას. დღეს აქ ჩვენ მოვისმინეთ, რომ მთავრობას ასეთი ზომები უკვე მიუღია.

ამხ. გიორგაძე. კრებას აცნობს სადგურ თფილისის კონდუქტორების მიერ მიღებულ რეზოლიუციას:

— სადგურ თფილისის კონდუქტორების საერთო კრება მიესალმება საქართველოს სახაზინო რკინის გზის მეორე ყრილობას ამასთანავე მოვითხოვთ იქნას მიღებული სასტიკი ზომები ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, რომლებიც ახდენენ მატარებლებზე თავდასხმას და ამით უქმნიან საფრთხეს ჩვენს დემოკ...

*) ამ ანგარიშის დაბეჭდვა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო დაგვიანდა. რედ.

რატიულ რესპუბლიკას და მთავრობას. საჩქაროდ იქნას გაგზავნილი თავისუფალი გვარდია და მილიცია ახლო-მახლო სოფლებში ბოროტ მოქმედთა აღმოსაჩენად. აგრეთვე მოვითხოვთ იქნას სასტიკათ დასჯილი ბოროტ მოქმედნი საჯაროთ სამხედრო წესებით.

ნოე დოლიძე. მოითხოვს, რომ ყველა ავაზაკები სასტიკათ იქნან დასჯილნი. არავითარ შეობიერებას აქ ალაგი არ უნდა ექნეს. ორატორს აკვირვებს, თუ რატომ სდებს მთავრობა ავაზაკებთან ბრძოლას იმ დრომდე, სანამ ტყეს ფოთოლი გასცვივა.

ლავ. კუპრაშვილი. ეს ამბავი ამაღელვებელზე უარესია. სული ყელში გებჯინება და არ იცი როგორ გამოსთქვა შენი აზრი, როცა ტყობილობ ასეთ ამბებს. ჩვენ მტრებს ვერ კი მოუწელებიათ ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცება. როცა ასეთი მდგომარეობაა, როცა ვიცით, რომ ირგვლივ აფარიბელი მტრები გვახვევია თავზე, ჩვენ მეტი ენერგიით უნდა ვიმეცადინოთ განვამტკიცოთ ჩვენი რესპუბლიკა. და თუ ეს შევძლეთ, ეს იქნება სამაგალითო მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენ უნდა მედგრათ, გონივრულათ შევხვდეთ ამ ამბებს. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს მუდამ: მტერს ბრძოლა უნდა, შრძოლა შეუპოვარი.

ორატორი. მოითხოვს, რომ მტრები სიკვდილით იქნან დასჯილნი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით სასჯელი საზოგადოთ საზიზღრობაა.

ს. დოლიძე. ამხანაგებო! მეორე თვე არ გასულა, რაც ჩვენ ამხ. კოლოსოვსკი მიწას მივაბარეთ, რომელიც გახდა მსხვერპლი ასეთივე უსაშინელესი ავაზაკობისა. ავაზაკების წინააღმდეგ საჭიროა სასტიკი და ულმობელი ზომების მიღება. მემანქანენი ამბობენ, რომ ღამით მოგზაურობა შეიძლება აცილებულ იქნას და დაწესდეს დღითი მატარებლების მიმოსვლა, რადგან ჩვენს რესპუბლიკაში ეს არც თუ ისე ძნელი მოსაწყობელია.

ამხ. ულენტი ამბობს, რომ მატარებლების მოგზაურობის ღამით შეწყვეტა ეს იქნებოდა ლაჩრობა და მიზანსაც ვერ მივაღწევდით. ორატორი საჭიროთ სცნობს მიღებულ იქმნას ბრბოების წინააღმდეგ ყოველივე ზომები მთელ რესპუბლიკაში. გულის წყრომას გამოსთქვამს, რომ ყაჩაღებს დიდხანს აჩერებენ ციხეებში და ასაზრდოებენ. ასეთი პირები არ არიან ადამიანები და ისინი სრულიათ უნდა მოისპონ დედამიწის ზურგიდან.

რკინის გზის უფროსი კანდელაკი უცხადებს კრებას, რომ რკინის გზელების წესდების მიხედვით კოლოსოვსკის ოჯახს მიეცა ერთდროულათ 6 ათასი თუ 7 ათასი მანეთი. წლიურათ მიეცემა ათასამდე. მთავრობაში მოხსენებაა წარდგენილი და მიეცემა კიდევ ერთდროული დახმარება. ასე იქნება იმ პირთა ოჯახის შესახებაც, რომლებიც ეხლა დაიღუპენ.

ნ. რამიშვილი (განმარტებისთვის). აქ იყო ნათქვამი ორატორებისგან, თითქო მთავრობამ ყოველივე ზომების მიღება გადასდო მანამ, სანამ ფოთლები არ გასცვივა ტყეებს. მე ვთქვი, რომ ზომები უკვე მიღებულია ეხლაც. ეკზეკუცია იგზავნება ყველა იმ სოფლებში, სადაც თავს აფარებენ ყაჩაღები. გარდა ამისა მე ვთქვი, რომ როცა ფოთლები გასცვივა ტყეს, სადაც თავს აფარებენ ყაჩაღები, მაშინ უფრო ფართეთ შევძლებთ ვაწარმოვოთ ამ ავაზაკთა დევნა და ეს უფრო ადვილიც იქნება. ასეთია აზრი მხედრობის, გვარდიის და სხვა. მაშინ ჩვენ შემოვარტყამთ ალყას ყველა ტყეებს და შევძლებთ ყაჩაღების დაჭერასაც.

გასამართლება უნდა მოხდეს არა თვითგასამართლების სახით, როგორც აქ სთქვეს, არამედ კანონების მიხედვით. სასამართლო დამოუკიდებელია და მასზე ჩვენ ზედგავლენას ვერ მოვახდენთ. შეიძლება არც ჩვენ ვართ კმაყოფილნი იმით, რომ სასამართლოში საქმე ხშირად გვიანდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქ მთავრობა არაფერ შუაშია.

გრ. ლორთქიფანიძე. თუ ჩვენ მივიღებთ მას, რომ ღამით შევწყვიტოთ სიარული, ეს იქნებოდა დაჩოქება ყაჩაღების წინაშე. ეს იქნებოდა უდიდესი სკანდალი საერთაშორისო მნიშვნელობისაც, ვინაიდან იტყოდენ, რომ საქართველოში არა თუ ბილიკებზე და შარა გზებზე, არამედ რკინის გზაზედაც არ შეიძლება სიარული. ყველა ის მსხვერპლნი, რომლებიც დაეცემიან ამ გზაზე, ისინი მიემატებიან სინოდიკს იმ პოლიტიკურ მებრძოლთა, რომლითაც მოკირწყლულია ჩვენი რევოლიუციის გზა (ტაში).

ფეხზე ადგომით პატივს სცემს დაღუპულთა ხსოვნას და შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციას:

რეზოლიუცია.

ს. ს. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობამ, მრავალ რიცხოვან რკინის გზელთა თანადასწრებით, მოისმინა რა ცნობა ავაზაკთა მიერ მოწყობილ მატარებლის დამსხვრევის შესახებ, გამოსთქვამს თავის ულრმეს აღშფოთებასა და ზიზღს ამ საშინელი ბოროტ-მოქმედების ჩამდენთ წინააღმდეგ. ყრილობას სწამს, რომ ავაზაკთა და ხულიგანთა ბნელ საქმეში ურევია პოლიტიკური ინტრიგის ხელიც, საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული.

ყრილობა აცხადებს, რომ დღევანდელ საგანგებო მდგომარეობაში, როდესაც რესპუბლიკას უტევს მტერი შიგნით და გარეთ, როდესაც ჯერ კიდევ ნორმალური პირობები არ დამყარებულა, შეუსაბამოთ მიაჩნია სახელმწიფოს მტერთა წინააღმდეგ ჩვეულებრივის კანონიერის წესით მართვა, როგორც ეს უფლებრივ სახელმწიფოს წესწყობილებას შეეფერება. ხალხის სისხლით მოპოებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას საფრთხეს უმზადებს ანარქია და გარემოება გადაჭრით უკარნახებს მთავრობას, რათა მან ანარქიასთან ბრძოლაში მიმართოს არა ჩვეულებრივ, საგანგებო და უსასტიკეს ზომებს, როგორც ბოროტებას პირდაპირ მონაწილეთა წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა იმ პირთა, რომელნიც ასეთ ბოროტ-მოქმედებას ხელს უწყობს ან ჰფარავს.

ყრილობა მოუწოდებს ამხანაგ რკინის გზელთ, განსაკუთრებით მემანქანეთ და კონდუქტორთ, რომ მათ კვლავინდებურის სიმტკიცით და თავდადებით განაგრძონ თავიანთ მოვალეობის ასრულება. მათი მოვალეობა დღევანდელ პირობებში, არის მოვალეობა არა მარტო პროფესიონალური, არამედ პოლიტიკური. რკ. გზელთა მსხვერპლი ამ საქმეში არის პოლიტიკური ბრძოლის მსხვერპლი, და ასეთი მსხვერპლი ვერ შეაკრთობს ბრძოლაში ნაწრთობს რკინის გზის დემოკრატიას.

ყრილობა სალამს და მადლობას უძღვნის მატარებლის მცველთა რაზმს, რომელმაც ასეთი თავდადება და სიმტკიცე გამოიჩინა თავდამსხმელთა მოგერების დროს.

ყრილობა სამძიმარს უთვლის დამსხვრევის დროს დაღუპულ ამხანაგთა და მგზავრების ჭირისუფლებს".

**ულმობელი და შეუბრალებელი ბრძოლა ყაჩაღთა წინააღმდეგ. სასტიკი ომი დეზერტირობას!**

## ს.-დ. პარტიაში

**ტფილისი.** 7 ნოემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. კრებამ მოისმინა ამხ. ს. თევზაძის მოხსენება ცენტრიდან, თ. ხ—ლის მოხსენება ტფილისის კომიტეტიდან მიიღო მხედველობაში და გადავიდა შემდეგ კითხვებზე. ქვეკოლექტივების წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიული და კულტურული მუშაობა მცირე კოლექტივებში სწარმოებს და მას დღითი დღე გამოცოცხლება ეტყობა. კრება ამ ცნობას ღებულობს მხედველობაში. პარტიულ კლუბის შენობის აღების შესახებ კოლ. მდივანი აცნობს კრებას, რომ ჯერ ჯერობით არ არის შედგენილი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ამ საქმისთვის და მოითხოვს ამ კითხვის მომავალი კრებისთვის გადადებას, კრება ამ წინადადებას ღებულობს. კრება ადგენს კვირას 16 ნოემბერს მოწვეულ იქნას საზოგადო კრება, სადაც გაარჩევენ თანამედროვე მომენტის შესახებ მოხსენებას. ჩერენკოვისა და ნათენაძეს საქმის გამოძიება მიენდო ამხ. მ. ტოროშელიძეს, ს. თევზაძეს, ი. გოგელიას და ქიტუაშვილს.

თედ. ხუხუნაიშვილი.

**მკითხველო, სინიდისის ქვეშ სთქვი, იცი თუ არა რომელიმე ავაზაკის ან დეზერტირის სახლი და ბინა. სირცხვილი შენ, თუ ამდენხანს არ მიგიცია ის სამართლის ხელში. ეხლა მაინც დაუყონებლივ ამხილე.**

## მუშათა შორის

**ტფილისი.** 7 ნოემბერს შესდგა აქონლის მზიდველთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრება. გამგეობის თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ კრება არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად წევრთა საჭირო რაოდენობის დაუსწრებლობის გამო, ვინაიდან კრებაზე უნდა დაესწროს, წესდების თანახმად, წევრთა ერთი მესამედი. შემდეგ გაიხსნა გამგეობის სხდომა ამხ. შ. კირაკოზოვის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) სალდათის ბაზრის საქონლის მზიდველთა თხოვნა კავშირში წევრათ მიღების შესახებ, 2) თათრის მოედნის საქონლის მზიდველთა თხოვნა კავშირში მიღების შესახებ, 3) სამხედრო ექიმ ბალუსლავ დონბროვის თხოვნა კავშირში წევრათ მიღების შესახებ, 4) ნიხრების გადასინჯვა ქალაქის თვითმართველობის გამგეობაში წარმოდგენილ და 5) სანდრო ბრეგვაძის განცხადება. კრებამ, იქონია რა მსჯელობა დღის წესრიგში დასმულ ოთხივე კითხვაზე, დაადგინა: ვინაიდან საზოგადო კრება უნდა შესდგეს სამი ოთხი დღის შემდეგ, პირველი და მეორე კითხვები გადადებულ იქნას საერთო კრებამდე და როგორც საერთო კრება მოისურვებს, ისე იქნეს გადაწყვეტილი აღნიშნული კითხვები. ექიმი ბალუსლავ დონბროვი მიღებულ იქნას კავშირის წევრათ, ხოლო რაც შეეხება მის თხოვნას სადგურის ბირჟაზე სამუშაოდ დაშვებას—შეკითხულ იქნეს ხსენებული ბირჟა და თუ ბირჟას აქვს თავ სუფალი ადგილი, დაშვებულ იქნას დონბროვი სადგურის ბირჟაზე სამუშაოდ. გადასინჯულ იქნა ნიხრები შემდეგი ბირჟების: თფ. სადგურის, კახეთის, შუშის ეზოსი და ნავთლუღის და დაევალა პრეზიდიუმს გადასინჯული ნიხრები წარედგინოს ქალაქის თვითმართველობას დასამტკიცებლად, ვინაიდან დაუმტკიცებელი ნიხრით მუშაობა წინააღმდეგობას იწვევს ხანდახან რკინის გზის ადმინისტრაციაში და საქონლის ზოგიერთ პატრონებშიაც. კახეთის ბირჟის მომწესრიგებელ სანდრო ბრეგვაძის განცხადება იმის შესახებ, რომ რიგში ჩაყენებულ იქნას მხოლოდ წევრების თითო თითო „პოდვოდი“ და დანარჩენები კი ჩაყენებულ იქნას რეზერვში,—მიღებულ იქნას მხედველობაში და დაისვას მომავალ საერთო კრების დღის წესრიგში. ამით კრება დაიხურა.

დიომიდე ქუჩულორია.

**დეზერტირი მოღალატეა, დეზერტირის და ყაჩაღის შემნახველი იუდის თანაზიარია.**

## პროვინცია

**შავი ზღვის რკინის გზაზე.** 29 ოქტომბერს სამეგრელოს მშრომელმა გლეხობამ შვებით ამოისუნთქა; ამ დღეს დაიწყო მიმოსვლა შავი ზღვის რკინის გზაზე მატარებელმა. ამ არტერიით სამეგრელომ შეაერთა თავისი სხეული სხვა კუთხეებთან, გაიხსნა გზა კულტურისა და ეს სამეგრელოსთვის მართლაც ისტორიული დღე სამეგრელოს დემოკრატიამ დიდის ზეიმით იდღესასწაულა. დილის 8 საათზე ახალ სენაკის სადგურზე თავი მოეყარა დიდძალ საზოგადოებას. აქ არიან წარმომადგენლები: გზათა სამინისტროსი ქიქინაძე, ლიანდაგის უფროსი კარასვიჩი, მოძრაობის უფროსი აბელიშვილი და სხვა... აქვე არიან წარმომადგენლები რკინის გზის მოსამსახურეთა სხვადასხვა რაიონებიდან, სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე მალანია და წევრები. ყველა დამსწრეთა ღიმ გადაკრული სახე აშკარათ მეტყველებს კულტურის ახალი მერცხლის ნაყოფიერებაზე; ყველა გაფაციცებით ელის მატარებლის დაძვრას. და მატარებელიც სრულ რვა საათზე სტუმრებითურთ დაიძრა, დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მატარებელს აცილებს.

გზა და გზა დიდძალი ხალხი ალტაცებით ხვდება მატარებელს. პირველად მატარებელი შეჩერდა ს. ნაჯიხევში. ეს ადგილი სამეგრელოს ერთი საუკეთესო კუთხეთაგანია. მისი მომხიბვლელი და თვალწარმტაცი ბუნება ამ ყათ გამოიყურება, თითქოს ისიც გრძნობდეს და იზიარებდეს ადგილობრივი გლეხობის სიხარულს, რომელთაც საგანგებოთ მოურთავთ ნოჯიხევის ის ადგილი, სადაც განზრახულია სადგურის აგება. ფართე საზოგადოება თავისი დელეგაციის სახით ესალმება სტუმრებს და სძრავენ შუამდგომლობას ამ ადგილზე აგებულ იქნას სადგური და ამ მოკლე ხანში კი პლატფორმა. ამის შემდეგ მატარებელი განაგრძობს თავის სვლას. ს. ხეთის დასაწყისში, სადაც ნაეზნის და აბას თუმანის გზები ერთდება—მდ. მუნჩის პირას—აქაც დიდძალი ხალხი ათი საზოგადოებიდან ხვდება მატარებელს. დამსწრეთა სიხარულს, აღტაცებასა და აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს. დამსწრენი შუამდგომლობენ აქაც იქნას სადგური აგებული აქედან მატარებელი ჩავიდა ხეთაში. აქ თავი მოეყარა თითქმის ყველას: დიდს, პატარას, მოხუცს, ახალგაზრდას, რომელნიც ტაშის ცემით და „ვირას“ ძახილით ხვდებიან მატარებელს. საერთო აღფრთოვანება და სიხარული უმაღლეს წერტილს აღწევს. აქ ჩამოდიან სტუმრები და ათეულიერებენ ადგილობრივ სხვადასხვა დაწესებულებებს და საათის პირველზე შესრულებულ იქნა მოძრაობის პირველ დასაწყისის ცერემონიალი. ჩვეულებისამებრ აქ ლიანდაგის პერპენდიკულიარულად მატარებლის პირდაპირ გაბმულ იქნა წითელი „ლენტი“, რომელიც გასჭრა საზოგადოებისგან ამორჩეულმა პატარა ბავშვმა; ამ ცერემონიის გათავების შემდეგ დაიწყო მისალმებები სტუმრებიდან. პირველად სიტყვას ამბობს გზათა მინისტრ. წარმ. ქიქინაძე, რომელიც აღნიშნავს რკინის გზის დიდ მნიშვნელობას საზოგადოების ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ულოცავს დამსწრეებს ამ ფრიად სიხარულ ნაბიჯს და მოუწოდებს მას ახარში ამოუდგეს მთავრობას, დაეხმაროს მას დემოკრატიის აღმშენებლობის საქმეში. შემდეგ მისალმების სიტყვას ამბობს სენაკის სამაზრო საერობო გამგეობის თავმჯდომარე მალანია. ის უმთავრესად საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მაშინ, როდესაც ბევრ სახელმწიფოებში ეცემა წარმოება, აქ ჩვენ სამშობლოში შექმნილი ერთნაირი პირობების მეოხებით სწარმოებს დაუღალავი აღმშენებლობა დემოკრატიის საკეთილდღეოთ. და აი, ამ აღმშენებლობის პროცესის ერთ ერთ მეტყველ ფაქტად ჩაითვლება, მისი აზრით, ახლად გახსნილი შავი ზღვის რკინის გზა. ის ულოცავს დამსწრე საზოგადოებას ამ დიად გამარჯვებას. შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს ადგილობრივ ორგანიზაციების სახელით დ. კიტია, რომელიც მადლობას უძღვნის დემოკრატიის მესვეურთ. ლაპარაკობს, რომ ადგილობრივი დემოკრატია მუდამ დარწმუნებული იყო და ეხლა კი სავსებით რწმუნდება, რომ ჩვენი მთავრობა არ დაიშურებს არავითარ ენერგიას, ფხასა და უნარს ჩვენს სასარგებლოთ და საკეთილდღეოთო... სიტყვების დათავების შემდეგ კრებას გამოაქვს რეზოლიუცია, გაეგზავნოს მისალმების დეპეშები მთავრობას, დამფუძნებელ კრებას და ერობათ ცენტრ. კავშირს.

კრების დაშლის შემდეგ ადგილობრივმა საზოგადოებამ სტუმრებს გაუმართეს სადილი, რაც მხიარულად ჩატარდა. მატარებელი ჩვეულებრივ აღტაცებით და საერთო აღფრთოვანებით გააცილეს. მატარებელი შეჩერდა დ. ხობში, შემდეგ ს. ნოჯიხევში, სადაც გაგრძელდა ხეთაში დაწყებული ცერემონიალი. საღამოს მატარებელი ჩავიდა ახალ-სენაკში.

კ—ო.

**ტობანიერის თემი.** (ქუთაისის მაზრა). რომ შევადაროთ ამ თემის მოკლე წარსული დღევანდელს, საგრძნობი განსხვავებაა. ნორჩი ერობის ოთხი თვის მუშაობამ გამოიღო სასურველი ნაყოფი. შეიქმნა ახალ საფუძველზე სათემო ადმინისტრაცია, ესე იგი კომისარიატის მაგიერ სათემო მილიცია. მილიციის უფროსათ მოწვეულ იქნა რეზერვში მყოფი გვარდიის აფიცერი ა. სირბილაძე, რომელმაც გადაახალისა მილიცია და ამ ცოტა ხნის მუშაობით დაამყარა სრული წესრიგი. ერობა და მილიცია ერთ სამმართველოში მუშაობს და ხელი ხელ ჩაკიდებული ერთსულოვნათ აკეთებს იმას, რაც საჭიროა ათასგვარ გაჭირვებაში გამოსული სოფლის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. ერობის აღმასრულებელი ორგანო სათემო გამგეობა შეუდგა ენერგიულ მუშაობას. პირველი მიზანი ე. ი. მილიცია შექმნა საღ ნიადაგზე გამგეობამ განახორციელა. ამის შემდეგ შეუდგა სოფლის შევიწროებულ გზების გაფართოვებას და შეკეთებას. მოაწყო უმტკივნეულოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლა. აღსანიშნავია გამგეობის მიერ გადადგმული ფრიად სიმპატიური საქმისათვის ნაბიჯი. ეს არის უკვე დაწყებული სახალხო სახლის შენება, რომელშიაც მას ნივთიერ დახმარებას უწევს აქვე არსებული სახალხო წარმოდგენების მმართველი დრამატიული წრე, ამ ჟამად გამგეობა შეუდგა მძიმე დავალების შესრულებას: ეს არის ერთდროული სანიტარული და მიწის გადასახადის აკრეფა ეს გადასახადები უკვე გაწერილია და მისი ნაწილი აკრეფილია. სამწუხაროთ ამ გადასახადებს ხელს უშლის ამ წლის მოუსავლობა, მაგრამ ტობანიერის ერობას იმედი აქვს ამ დაბრკოლებასაც გადალახავს, თუ მას დროზე დაეხმარა სამაზრო ერობა საჭირო თანხით ამ თემის გამგეობასთან შესდგა სამხედრო დაწესრობა (ორგანო), სამი წევრისგან, რომელიც ხელმძღვანელობს ჯარის ნაწილებიდან გამოქცეული დეზერტირების დაჭერას და თავის ნაწილებში გადაგზავნას. ამ დაწესრობაში შედის ერთი წარმომადგენელი ერობის გამგეობიდან, ერთი წარმომადგენელი სახალხო გვარდიის შტაბიდან და ერთი სათემო მილიციიდან.

ს. ეჯემიაშვილი.

**ზიზღი ლაჩარს დეზერტირს, ხალხის რისხვა და კრულვა მუხანათ ყაჩაღს!**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ მოვათავსო თქვენ გაზეთში შემდეგი: ამას წინათ საქმე დიატორო სამართალში გამომიწვია ზაქარია ფიფიაშვილმა. მეც დავეთანხმე და ავირჩიეთ მედიატორები. ჩემმა მედიატორებმა დაასახელეს თავმჯდომარის ადგილზე 4 კაცი, ამ 4-ში აირჩიეთ ერთს, მაგრამ ფიფიაშვილის მედიატორებმა დაასახელეს ერთი კაცი და დაჟინებით მოითხოვეს მისი თავმჯდომარეთ მოწვევა. შეთანხმება არ მოხდა და მედიატორებმა უარი განაცხადეს საქმის გარჩევაზე. ჩემი სურვილია ჩვენ საქმეს ნათელი მოეფინოს, ამიტომ მოვაგონებ ბ. ფიფიაშვილს, რომ თუ ათი დღის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა, არ დანიშნა თავის მედიატორები და საქმე არ გაირჩა, მე ვუწოდებ მას იმ სახელს, რის ღირსიც ის არის.

ბესარიონ დოლიძე.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: პუშკინის სახელობის ქართული სკოლის პედაგოგიური საბჭო ულრმეს მადლობას უძღვნის ორთაჭალის კლუბის ქართულ—სომხურ—თათრულ წრეს, რომელთაც ზემოხსენებულ სკოლის ღარიბის მოწაფეთა დამხმარე კასის სასარგებლოთ დასდგეს წარმოდგენა და მისი წმინდა შემოსავალი 938 მან. შემოსწირეს.

საბჭოს დავალებით სკოლის გამგე ან. ახალშენიშვილისა.

## განცხადებანი

### რვეულები

მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია.

(2752—10—7)

სახელმწიფო მამული „სკრა“ ნამყენი ხეხილი მაჟალო და თესლეულობა

**მოიკითხეთ კატალოგი**

სად. სკრა—გორის მაზრა.

(2906—10—4)

დუშეთის ერობა იწვევს გამოცდილ

**საქმის მწარმოებლებს**

ჯამაგირი თვიურათ 1800 მანეთი. უფრ. საქმის მწარმ.—2000 მან. თხოვნები გადმოგზავნონ: დუშეთის ერობის გამგეობა.

(2923—3—3)

ქალ. სამტრედიაში

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“.

(2930—თ.)

**სამკურნალო**

(კავკასიის წითელი ჯვრის საოლქო სამმართველო) ავადმყოფების მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ვ. გ. ხანაძე 9—12 შინაგ. სნეულ.

ფ. ლ. ფეხნერი 10—11, საბავშ. სნეულ.

ი. ა. ტერ ოგაკიმოვი 12—1. ვენერ.

ი. დ. ბოკერია 11—12. ხირურგ. ქალ. სნეულ. და საბებიო.

ი. ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. და საბავშო.

სამკურნალოს დირექტორი ვ. გ ხანაძე.

ტ. ხ. განეუმოვისა 11—12. ქალთა და საბებიო. 606 და 914 ყოველ დღე. ღარიბებისთვის გადასახადი 10 მანეთი. ოპერაციები ბორიგებით. ადრესი: ჩერქეზიშვილის ქ. № 77, იაკობოვიჩის აფთიაქის გვერდით. (2937—თ.)

ექიმი კ. ტ. მელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი. ჩიხოლოვის (?) ... ქუჩების კუთხე ... ახლოს ... საღამოს 5—7 საათამდე. (29..)

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე** იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **შ. ა. მიქაძეაბაშვილი** შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალონიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი. შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) და ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი **არუთინოვი**. დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება. შინაგან სნ. ავათმყოფების დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. ვენერიულის (სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები) კაცების საღამოს 5—6 საათ. ქალების სად. 6—7 საათ. „914“ „606“ შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა (თ. 2816)

ექიმი **იშ. ბოკერია** იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

ექიმი **ა. ლევანოვიჩი** შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექის ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ოზურგეთში

ექიმი **ს. გ. აბაშიძე** მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. კ. სიამაიშვილის სახლში.

ექიმი **შ. ა. შაფრანი** სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“). ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ... მისამართი: ... ქუჩა № 35.

ექიმი **დ. ა. ხარაძიძე**. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი **ა. ბ. შაუდელ-საბაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო ღარიბების **ხსნილისის წამლობა** (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **იოსებ რამდენის ძე ცინცაძე** იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

## ტფილისის სამხედრო წისქვილი

იღებს სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო პირთაგან დასაფქვავ ხორბლეულობას. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება წისქვილის კანცელარიაში. ავლაბარი, პეტრე-პავლეს ქუჩა, № 48, სამხედრო მთავარი სასურსათო საწყობის ეზოში.

(2950—3—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

## მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხულით ავათმყოფი (მამაკაცი) დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბავშვო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან.

(2901—14—2)

1919 წ., 15 ნოემბერს ეკატერინენფელდში დანიშნულია

## ერობის ცხრომა

სადაც მოხდება მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები ბორჩალოს მაზრისა. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ განცხადებით ბორჩალოს სამაზრო ერობას ეკატერინენფელდში.

ბორჩალოს სამაზრო ერობა

(2760—3—3)